პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 თებერვლიდან

KOMUNISTI—

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1976 პარასკევი 14 მაისი № 112 (16542) ფასი 2 კაპ. 1976

მხარს უჭერენ საყოველთაო-სახალხო ლაშქრობას:

შევქმნათ პირუტყვის საკვების წლინახევრის მარაგი

გუშინ „კომუნისტის“ ფურცლებზე დაბეჭდა ხუთბარი ხელნაღელ კომუნისტთა პატრიოტული თაოსნობის შესახებ. სიღნაღელთა გადაწყვეტილებაა „წლეულს შექმნან პირუტყვის საკვების წლინახევრის მარაგი, რისთვისაც რაიონში გამოცხადებულია საყოველთაო-სახალხო ლაშქრობა.

ხულ მალე მთელი ძალით გაჩაღდება ბალახის თიბვა, ხენაყის დამზადება. მწვანე მასა უხვად არის. გვახსოვდეს, თუ ბალახს დროულად არ გავთიბავთ, დიდძალ ხაკვებს დავკარგავთ.

სოფლის მშრომელებო, მთელი ძალები დავრაზმოთ თიბვისა და სენაჟის დასამზადებლად!

ხიღნაღელთა ამ თაოსნობას მხურვალედ დაუჭერეს მხარი და ახალი გადიდებული ვალდებულებები აიღეს რეხპუბლიკის მთელი რიგი რაიონების კომუნისტებმა, სოფლის მშრომელებმა. დღეს ვბეჭდავთ ხაუბრებს პარტიის წითელწყაროსა და მაიაკოვსკის რაიკომების პირველ მდივნებთან ამხანაგებთან **თ. გოგსაძესთან და ბ. ჩარქელიანთან.** ეი რა თქვეს მათ:

უზრუნველყოფთ მეცხოველეობას ადგილობრივი წარმოების საკვებით

წითელწყარო. სოფლის ყველა მშრომელმა კარგად იცის, რომ მეცხოველეობის აღმავლობის ნომერ პირველი პრობლემა პირუტყვის საკვები ბაზის განმტკიცებაა, — თქვა პარტიის წითელწყაროს რაიკომის პირველმა მდივანმა **თ. გოგსაძემ.** — ამიტომ საკვების დაგროვებას უპირველეს ყურადღებას ვაქცევთ. კოლმეურნეობებში ფართოდ განვიხილეთ და მოვიწონეთ ხიღნაღელთა პატრიოტული თაოსნობა პირუტყვის საკვების წლინახევრის მარაგის შესაქმნელად ხაყოველთაო-სახალხო ლაშქრობის გამოცხადების შესახებ. კომუნისტები, კომკავშირელები, მოსწავლე-ახალგაზრდობა, ყველა, ვისაც კი ცელის, ნამგლისა თუ ფიწლის დაჭერა შეუძლია ამ მართლაც სახალხო ლაშქრობაში ჩაება.

რაიონის საზოგადოებრივმა მეურნეობებმა გააანალიზეს თავიანთი შესაძლებლობანი და ვალდებულება იკისრეს წლეულს დამზადონ 10.000 ტონა თივა, 35.000 ტონა სენაჟი, 65.000 ტონა სილოსი, 3.500 ტონა ვიტამინიანი თივის ფქვილი, მცენარეთა ფოთლებისაგან და ღეროებისაგან ხაკვებ ბალახს შევმატებთ 2.000 ტონა ხაკვებს.

თივისა და სენაჟის დამზადებას ძირითადად თიბოვიანების მკის დაწყებამდე მოგათავებთ, იმ ანგარიშით, რომ მოსავლის აღება არ შეფერხდეს. **მოსავლის უდანაკარგოდ აღების პარალელურად დავაგროვებთ და პირუტყვის ხადგომებთან დაზვინავთ 35.000 ტონა ნამჯას. ნაწვერალზე ხასილოსედ დავთესავთ 7.000 ჰექტარ ხიმინდს.**

ეს ვალდებულებები რეალურია და სრული რწმენა გვაქვს, რომ წითელწყაროელ კომუნისტთა, სოფლის მშრომელთა სიტყვა და საქმე ერთი იქნება.

მაიაკოვსკი. უხვნალექიანი გაზაფხული საშუალებას გვაძლევს სულ უფრო მეტი რაოდენობით დავაგროვოთ პირუტყვის საკვები, — თქვა პარტიის მაიაკოვსკის რაიკომის პირველმა მდივანმა **ა. ჩარქელიანმა,** — ჩვენ მთელი გულით ვუჭერთ მხარს ხიღნაღელთა თაოსნობას. **პირუტყვის საკვების წლინახევრის მარაგის შესაქმნელად მათი მაგალითით რაიონში ვაცხადებთ საყოველთაო-სახალხო ლაშქრობას.** კომუნისტებს მხარში ამოუდგებიან რაიონის ახალგაზრდები, უფროსკლასელი მოსწავლეები. მათ გადაწყვიტეს არ დატოვონ მოუთიბავი არცერთი კვადრატული მეტრი მიწა, სადაც ბალახია ამოსული. ახალგაზრდული რგოლების ლაშქრობას სათავეში ჩაუდგა კომკავშირის რაიკომი.

ბალახის ასაღები მანქანები და სხვა ტექნიკა მზადყოფნაშია. მალე დაიწყება თიბვა, სასენაჟე მასის დამზადება. ამ საქმეშიც ისე მოვაწყობთ, რომ შეფერხება არ გვქონდეს.

მაიაკოვსკი ძირითადად მევენახეობის რაიონია, მაგრამ მეცხოველეობასაც დიდ ყურადღებას ვაქცევთ. **გადავწყვიტეთ წლეულს დავამზადოთ 5.500 ტონა უხეში საკვები, 4.000 ტონა სილოსი, 2.500 ტონა სენაჟი, 240 ტონა აკაციის ფოთოლი.**

რაიონის კომუნისტების, საკვებმომპოვებლების, სოფლის ყველა მშრომელის, ახალგაზრდების მტკიცე გადაწყვეტილებაა შექმნან პირუტყვის საკვების წლინახევრის მარაგი. ამასთან უნდა საკვებს იმდენს დავამზადებთ, რომ აღარ დაგვჭირდეს მეზობელი რაიონებიდან შემოტანა.

რაიონის მშრომელთა ენთუზიაზმი იმის მტკიცე გარანტიას გვაძლევს, რომ ხაკმარი ვალდებულებები პირნათლად შეკასრულდებ.

გუშინ მინდვრად

თაოსნებთან

ხასმნარეს ბალახის აღება სიღნაღის რაიონში პირველებმა ტიბაანისა და ვაქირის კოლმეურნეობებმა დაიწყეს. აქ ჰექტარზე 100 ცენტნერ ბალახს თიბავენ, რისგანაც სენაჟს ამზადებენ.

რაიონში უკვე დამზადებულია 300 ტონამდე სენაჟი. აქედან 180 ტონა ვაქირელებმა ჩადეს, ხოლო ტიბაანელებმა — 120 ტონა.

მწვანე საკვები

საუკეთესო ვადებში დამამავრებ თესვა, დროულად მორწყეს ირონჯის მინდვრები მარნეულის რაიონში — ვიტამინიანი ბალახის ფხვნილის წარმოებით რეხპუბლიკის მთავარ რაიონში. თიბეა რაიონში პირველმა დაიწყო მეთესლეობის ხაბჭოთა მეურნეობამ, სადაც ბალახს დათმობილი აქვს 650 ჰექტარი. ხაბჭოთა მეურნეობის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა ჰექტარზე პირველი თიბვის დროს მიიღოს 80 ცენტნერი მწვანე მასა.

მუდანლოს სპეციალიზებულ ხაბჭოთა მეურნეობაში, სადაც ირონჯას 1.000 ჰექტარი უჭირავს, ჰექტარზე მიიღებენ 15 ცენტნერით მეტ მწვანე მასას, ვიდრე შარშან. ხაბჭოთა მეურნეობას დაგეგმილი აქვს დამზადოს 5 ათასი ტონა ბალახის ფხვნილი.

ხულ მარნეულის რაიონში საკვებ ბალახებს 10.700 ჰექტარი უჭირავს. აქედან ირონჯის ნათესებს — 7.100 ჰექტარი. რაიონი დამზადებს 16 ათას ტონა ბალახის ფხვნილს.

ახალი ამგზები

ბული აქვს ორმოცდაათი ათასი ტონა ზეგეგმითი სათბობი. ეს წარმატება მიღწეულია მეშახტეებს შორის ფართოდ გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების შედეგად, რომელიც მიმდინარეობს დევიზით: „აღარცერთი ჩამორჩენილი ჩვენს ვეურდთან“.

□ **ურალსკი.** დასავლეთ ყაზახეთის მინდვრები დატოვა უკანასკნელმა ხათესმა აგრეგატებმა. საადრო მარცლეული დათესილია დაახლოებით მილიონნახევარ ჰექტარზე. აქედან 900 ათასი — დაგეგმილზე მნიშვნელოვნად მეტი — თავთუნმა დაიკავა. ახვნელ-მთესველებმა თესვა შვიდ სამუშაო დღეში დაამთავრეს.

□ **ნახიჩევანი.** პირველი კონტეინერმზიდი „ალექსანდრე ტვარდოვსკი“ გავიდა ვოსტოჩნის ნავსადგურიდან, სადაც მწყობრში ჩადგა მძლავრი საკონტეინერო ტერმინალი. დასატვირთავად ჩამოდგა მეორე გემი — „ალექსანდრე ფადეევი“. ძმები კონტეინერების გადასაბუქებელი ტერმინალი ყველაზე დიდია ჩვენს ქვეყანაში. ამა მართავს ელექტრონულ-გამოსათვლელი მანქანა, ნაფმისადგომის მაღალი ტექნიკური აღჭურვილობა. წელიწადში 140 ათასი კონტეინერის გადამუშავების საშუალებას იძლევა.

□ **ნარინი** (ყირგიზეთის სსრ). ცენტრალური ტიანშანის კოლმეურნეობა „8 მარტის“ ექვსი მეცხოველეობის კომპლექსი ჩართეს ხახელმწიფო ენერგოხისტემაში. ელექტროგადამცემი ხაზი, რომელმაც დენი მიაწოდა მეცხოველეებს, გადის ზღვის დონიდან სამ ათას მეტრზე მეტი სიმაღლის მთებზე. მაღალი მთის ელექტროგადამცემმა ხაზებმა, რომლებიც ახლა გაიყვანეს ყარა-ქულჯირის, არპისა და აქ-საის ხაძოვრებზე, მეცხოველეებს საშუალება მისცეს ბევრი შრომატევადი პროცესი მექანიზმებით შეასრულონ.

□ **ხარკოვი.** დაბა პერვომაისკი ხარკოვის ოლქის „ყველაზე მრავალსართულიან“ რაიონულ ცენტრად იქცა. აქ დამთავრდა ოლქის სასოფლო რაიონში პირველი ოცდაცხრასართულიანი სახლების დიდი საცხოვრებელი ანსამბლი აგება. ამ ხუთწლედში სასოფლო რაიონებში გათვალისწინებული აიგო მილიონ კვადრატულ მეტრზე მეტი ფართობის საცხოვრებელი სახლები.

□ **კინეშმა** (ივანოვოს ოლქი). ახალმა ხამდინარო ხადგურმა, **რომელიც აშენდა ძველ ვოლგისპირა ქალაქში, პირველი მგზავრები მიიღო.** ორსართულიან შენობაში არის დიდი მოსაცდელი დარბაზი, კავშირგაბმულობის განყოფილება, ხამგზავრო პუნქტი, დედისა და შვილის ოთახები, გემთგებლები არის გაფორმებული რესტორანი და ბუფეტი. ხამდინარო ტრანსპორტის მუშაკებს გაბატს შემდეგ მეუძლიათ დასვენდნონ სასტუმროს ტიპის სპეციალურ შენობაში. (საკდესი).

ლიტვურ ენაზე

გამოიცემლობა „მინტისმა“ ლიტურ ენაზე გამოუშვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვებისა და მოხსენებიდან ორტომიანი კრებული „თანამედროვე ეტაპზე ხაბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ეკონომიური პოლიტიკის ძირითადი საკითხები“. (საკდესი).

კვაისელ მაღაროელთა სიტყვა



კვაისის მაღაროთა ხამმართველოს კოლექტივმა, რომელიც აზორციელებს სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებს, ვალდებულება იკისრა ვადამდე 29 დეკემბრისათვის დაამთავროს მეათე ხუთწლედის პირველი წლის დავალება და გეგმის გადაჭარბებით ამოიღოს ახობით ტონა მადანი.

მაღაროთა ხამმართველო ხამართლიანად ამაყობს თავისი მოწინავე მუშებით. მათ შორის არის კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადის ხელმძღვანელი ძ. ზასეევი. მან ვალდებულება იკისრა, რომ პირად ხუთწლედს ხამ წელიწადში შეასრულებს.

მაღაროთა ხამმართველოში კარგად არის ცნობილი მბურღავების ე. ალბოროვის, ხ. ქელეხსაევისა და სხვათა ხახელები. მათ ბევრი კვალიფიციური მაღაროელი მოამზადეს.

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: ზემოთ — კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადის ხელმძღვანელი ძ. ზასეევი; ქვემოთ — მოწინავე მაღაროელები (მარცხნიდან) ე. ალბოროვი, ხ. ბესტაევი, ხ. ქელეხსაევი, კ. ნანეევი და პ. ზასეევი.

ᲤᲝᲢᲝ ᲡᲝᲤᲝᲚᲝᲕᲘᲡ ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ვალდებულების ანგარიშში

ᲠᲘᲗᲐᲗᲣᲠᲐ. (ხაკ. კორ.). მარგანეცის ქალაქის მშრომელებმა კარგი სტარტი აიღეს მეათე ხუთწლედში. ამ დღეებში სასიხარულო დეპეშა მიიღეს მოსკოვიდან. სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტროს საწარმოებს შორის პირველი კვარტალის შედეგების მიხედვით გამარჯვებული გამოვიდა მარგანეცის სამთამადნო კომბინატი და გარდამავალი დროშა დაიმსახურა.

სამთოელებს მხარს უსწორებენ ქალაქის სხვა საწარმოებიც, მათ ვადამდე ადრე უპატაკეს ქვეყანას პროდუქციის გამოშვების ოთხი თვის დავალების შესრულება. რეპუბლიკის სამრეწველო საწარმოთა მშრომელების პატრიოტულ ვალდებულებაში — წლის ბოლოდრე აწარმოონ 135 მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია, ჭიათურელებმა უკვე შეიტანეს თავიანთი წვლილი — ოთხ თვეში ქვეყანამ მიიღო 1.400 ათასი მანეთის ზეგეგმითი ნაწარმი.

13 მაისს

„პრავდის“ ფურცლებზე

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ საზოგადოების პოლიტიკური სისტემის ყოველმხრივი განვითარება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საქმიანობის დიდმნიშვნელოვანი მიმართულებაა კომუნისტური მშენებლობის თანამედროვე ეტაპზე.

საბჭოები, — წერს გაზეთი, მეთაურში („განვითარდეს **საბჭოების მუშაობა“**) — ჩვენი სოციალისტური საზოგადოების პოლიტიკური საფუძველია. ისინი, ვ. ი. ლენინის განსაზღვრის თანახმად, თვით მშრომელთა უშუალო ორგანიზაციაა, რომელიც უზრუნველყოფს მათს ფართო მონაწილეობას ხახელმწიფოს მართვაში, უფრო სრულად განაახორციელებ მის ნამდვილად დემოკრატიულ ხასიათს. ქვეყანაში მოქმედებს 50 ათასზე მეტი ხაბჭო, რომლებშიც 2 მილიონზე მეტი დეპუტატი წარმოადგენს სსრ კავშირის ყველა კლასსა და სოციალურ ჯგუფს, ერსა და ეროვნებას.

მეათე ხუთწლედის რთული და პასუხსაგები ამოცანები, — განაგრძობს გაზეთი, — **საბჭოებისაგან მოითხოვს მთელი საქმიანობის ფონის მნიშვნელოვან ამაღლებას, ყველგან მუშაობის ლენინური, პარტიული სტილის დამკვიდრებას. ეს სტილი მეცნიერულ მიდგომას წარმოშობილი პრობლემებისადმი, დიდ მომზადებულობას, გერგილიანობას საჭიროებს.**

„მოსავლის ეხტაფეტა: ხასოფლო-სამეურნეო მიმობილავა“, ამ რუბრიკით გაზეთი კვლავ პირველ გვერდზე აქვეყნებს თვეების გადამწყვეტი დღეების ამსახველ მასალას — **„გაზაფხული გვიკარნახებს ტემპებს“.**

მანქანათმშენებლობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს სახალხო მეურნეობის ყველა სფეროში ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის. პარტიის XXV ყრილობისათვის წარდგენილ მოხსენებაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი აღნიშნავდა: **„განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრებათ დარგებს, რომლებმაც სახალხო მეურნეობის ყველა სფერო უნდა უზრუნველყონ თანამედროვე მანქანებითა და მოწყობილობით, მანქანათმშენებლობას... ამავე დროს უნდა გაუჭრობისდეს, უფრო მოქნილი და ტექნიკური სიახლეებისათვის მომზარჯვებული გახდეს მისი სტრუქტურა“.** ამ საკითხებს ეხება წერილი — „მეურნეობრიობის ოპტიმალური რეჟიმი“, რომელიც გამოქვეყნებულია რუბრიკით — „კურსი — ეფექტიანობა“.

მოლეკულური ბიოლოგიის მიღწევებსა და პერსპექტივებს კომენტარს უკეთებს აკადემიკოსი **ვ. ა. ენგელგარდტი („სიცოცხლის საიდუმლოებისაკენ“).**

მეექვსე გვერდზე მკითხველი ნახავს გაზეთის საკუთარი კორესპონდენტის ცნობას („ბოგელენების გამოფენა“), რომ თბილისის ხუთათების გალერეაში გაიხსნა ქალაქ ბრნოდან (ჩეხოსლოვაკია) ჩამოტანილი ბოგელენების გამოფენა. მალე ჩეხოსლოვაკიაში მეგობრობს საპასუხო „ვიზიტი“ ეწვევიან თბილისიდან.

PRAVDA

ᲛᲘᲤᲠᲘᲜᲐᲕᲡ „ᲛᲝᲚᲜᲘᲐ-3“

ᲛᲔᲠᲔᲓᲐᲛᲘᲤᲮᲘᲚᲘ ხელოვნური თანამგზავრების გამოყენებით კავშირგაბმულობის სისტემების შემდგომი განვითარების პროგრამის შესაბამისად 1976 წლის 12 მაისს საბჭოთა კავშირში მაღალ ელიფსურ ორბიტე გაუშვეს კავშირის თანამგზავრი „მოლნია-3“ საბორტო სარეტრანსლაციო აპარატურით, რომელიც უზრუნველყოფს სიხტემის მუშაობას ინტერბანერული დიაპაზონით.

კავშირის თანამგზავრი „მოლნია-3“ გათვალისწინებულია საბჭოთა კავშირში შორი სატელეფონო-სატელეგრაფო რადიოკავშირის სისტემის ავტომატიზაციის უზრუნველყოფისათვის, „ორბიტის“ ქსელის პუნქტებში კავშირის ცენტრალური ტელევიზიის პროგრამების გადაცემისა და ერთარხიანი თანამშრომლობისათვის.

კავშირის სეანსები „მოლნია-3“ თანამგზავრის ხაუშალებით დასაბუთებული პროგრამის შესაბამისად მოეწყობა. (საკდესი).

ᲘᲓᲔᲝᲚᲝᲒᲘᲐ ᲓᲐ ᲝᲡᲢᲐᲢᲝᲑᲐ

სსრ კავშირის კინემატოგრაფისტთა III ყრილობა

ᲙᲘᲜᲝᲨᲘᲡᲢᲣᲠᲘ მსოფლმხედველობის მოყვანილობებში კინოხელოვნების როლზე, მის მადალ იდეურობაზე, ხელოვნების პოზიციათა პარტიულობაზე ლაპარაკობს სსრ კავშირის კინემატოგრაფისტთა III ყრილობის მონაწილეებს, 12 მაისს, სამანდატო კომისიის მოხსენების შემდეგ, რომელიც მისმა თავმჯდომარემ ა. ხამოვემ გააკეთა, ყრილობაზე განაგრძეს კამათი. დელეგატები გამოხატეს მისწრაფებას — იმუშაონ უფრო უკეთ და აქტიურად, გადაწყვიტონ ამოცანები, რომლებსაც კინომოღვაწეებს უსახავს დღეკანდელობა. ეს ხელოვნებისაგან-მოითხოვს ბრძოლა მაღალ ოსტატობას, არაჩვეულებრივ მუშაობას ფორმის ეფექტიანობისათვის, ჭეშმარიტად შინაარსებრივ ძიებას. რეჟისორებმა ა. ხუციევმა (მოსკოვი), ხ. ნარლიევმა (აშხაბადი), ოჰანარატორმა მ. ტერზიანოვმა (რიგა), მწერალმა და ლიტერატურმცოდნემ ჩ. აიტმატოვმა (ფრუზე), მხატვარმა მ. ბოგდანოვმა (მოსკოვი) განიხილეს კინემატოგრაფის უკანასკნელი წლების მიღწევები.

ყრილობაზე ილაპარაკეს საკავშირო ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ა. დერევიანკომ, რეჟისორმა ა. მიხალკოვ-კონჩალოვსკიმ, ფოტოოპერატორმა (მოსკოვი) და სხვებმა. ინანამედროვეობის თემების შემუშავებაში მნიშვნელოვანი წარმატებები აღინიშნა კინოპუბლიცისტიკის ჟანრთან. ახალი მიჯნები მოიტანეს მშვიდობისათვის, თავიანთ ხალხთა ბრძოლის ამსახველ დოკუმენტურ ნაწარმოებთა ავტორებმა. ინტენსიური განვითარება აპერიოდი იყო უკანასკნელი ათეული ახალგაზრდა სატელევიზიო ოპერატორებისთვისაც. მხატვრული და დოკუმენტური კინოს, ტელევიზიისა და კინემატოგრაფის ურთიერთგავლენასა და ურთიერთგამდიდრებაზე ილაპარაკეს თავიანთ გამოსვლებში რეჟისორმა ვ. ისაკოვიჩი (მოსკოვი), სხვა ორატორებმა.

საბჭოთა კინემატოგრაფის უდიდესი აღმზრდელობითი მნიშვნელობა ადამიანი ცხოვრების ცხადი და ნათელი ფაქტორი გახდა. ამიტომ ეს-ოდენ გვეჭირდება ახალი ახალი ფილმები, სადაც მუშა — ჩვენი თანამედროვე — მთელი ხისრულით, ღრმად და სიმართლით, მკაფიოდ და ყოველმხრივ იქნება ნაჩვენები. ასეთი ნაწარმოებების შექმნისათვის მოუწოდა კინემატოგრაფისტებს საკავშირო პროფსაბჭოს მდივანმა ლ. ა. ზემლიანიკოვამ.

მხატვრულ, დოკუმენტურ და სამეცნიერო-პოპულარულ ფილმებში, აღინიშნა ყრილობაზე, უნდა აისახოს მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მიღწევები. საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრება, ჩვენი ცხოვრების წესი, საბჭოთა ადამიანის მდიდარი სულიერი სამყარო. რეჟისორებმა ხ. ჯერასიმოვმა, ი. ტალანკინმა, გ. დანელიამ (მოსკოვი), ვ. ტურუმოვმა (მინსკი), კინომცოდნემ კ. კალანტარმა (ერევანი), მსახიობმა ბ. ჩირკოვმა (მოსკოვი), ი. შევჩუკმა (კიევი) და სხვებმა თქვეს, რომ კინოხელოვნების მაღალი მოვალეობაა მკაფიოდ და რეალისტურად ახასოს საბჭოთა საზოგადოების განვითარების დიალექტიკა, კარმონიულად განვითარებული პიროვნების ჩამოყალიბება.

ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმეგ, ყოველგვარი ჯურის ანტიხაბჭოელების მიერ გაჩაღებული „ცივი ომის“ წინააღმდეგ ბრძოლაში კინემატოგრაფის მონაწილეობა ილაპარაკეს ყრილობის ტრიბუნიდან რეჟისორმა გ. ჩუხრაიმ (მოსკოვი).

ყრილობას მიესალმნენ პოლონელ კინემატოგრაფისტთა კავშირის თავმჯდომარე ეჟი კავალეროვიჩი და იუგოსლავ კინემატოგრაფისტთა თავმჯდომარე სტევა ოსტოიჩი.

ჩვენი ხაზოგადოების მთელი მრავალფეროვანი ცხოვრების ამსახველი საბჭოთა კინემატოგრაფიის მიღწევათა ანალიზს, სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად მრავალეროვნული საბჭოთა კინოხელოვნების ოსტატთა ამოცანებს მიუძღვნა თავისი გამოსვლა ყრილობაზე სსრ კავშირის სახკინოს თავმჯდომარემ თ. ერმაშმა.

ყრილობა განაგრძობს მუშაობას.

(ხაკდესის კორ.).

ᲑᲔᲚᲝᲠᲣᲡᲘᲘᲡ ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲗᲐ ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐ

ᲛᲘᲜᲡᲙᲘ. (ხაკდესის კორ.). მუშაობა დაამთავრა ბელორუსიის მწერალთა VII ყრილობამ. ყრილობის დელეგატებმა შეაჯამეს შემოქმედებითი ხუთწლედის შედეგები და ჩვენი პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით დასახეს რესპუბლიკაში ლიტერატურული პროცესის შემდგომი განვითარების მთავარი გზები.

სოციალისტური რეალიზმის, ლიტერატურის პარტიულობისა და ხალხურობის პრინციპების ერთგულმა მწერლებმა, აღინიშნა ყრილობაზე, შექმნეს მთელი რიგი მაღალმხატვრული ნაწარმოებები, რომლებმაც მკითხველთა ფართო აღიარება მოიპოვეს.

ყრილობის მონაწილეებმა მისალმებელი წერილი გაუგზავნეს ხაბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს.

აირჩიეს სსრ კავშირის მწერალთა VI ყრილობის დელეგატები.

ყრილობის მუშაობაში მონაწილეობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკიროს წევრობის კანდიდატი, ბელორუსიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი პ. მ. მაშეროვი.



ᲞᲐᲠᲝᲜᲡᲚᲐᲕᲚᲘ. შრომითი წარმატებებით ეგებებიან ნავიგაციის დაწყებას იაროსლავლელი გემმშენებლები. ვადამდე ჩაუშვეს წყალში სეინერ-ტრაულერი და ხაზღვაო მაშველი ბუქსირი, ამთავრებენ კიდევ ერთი სეინერის ხამონტაჟო ხამუშაოს.

ამახწინათ იაროსლავლის გემმშენებელი ქარხნის კოლექტივმა გადახედა მეათე ხუთწლედის პირველი წლის სოციალისტურ ვალდებულებებს და გადაწყვიტა გეგმის ზევით 400 ათასი მანეთის პროდუქცია მისცეს ხახელმწიფოს.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ ᲖᲔᲓᲐ: სეინერ-ტრაულერის წყალში ჩაშვების წინ მომზადნარეობს უკანასკნელი ხამონტაჟო ხამუშაოები.

ხ. ᲨᲢᲔᲚᲘᲪᲘᲡ ფოტო (ხაკდესის ფოტოქრონიკა).

ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲜᲔᲚᲗᲐ ᲞᲚᲐᲜᲢᲐᲪᲘᲔᲑᲨᲘ

ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲜᲘ. (აზერბაიჯანის სსრ). **რესპუბლიკაში უდიდესი ჩაის მწარმოებელი — ლენინგრანის რაიონის მეურნეობებიდან დაიწყო ჩაის მწვანე ფოთლის მიწოდება ფაბრიკებისათვის.** ჩაის კრეფას სხვა რაიონებიც შეუდგნენ. წლეულს სახელმწიფოს სულ ცოტა 13 ათასი ტონა ძეხოფს ნედლეულს მიაყიდიან, რაც ათასი ტონით აღემატება შარშანდელს. პირველად მეჩაიეობის პრაქტიკაში რესპუბლიკაში ქოთნებში გამოიყენენ ჩაის ნერგს. ეს მეთოდი მნიშვნელოვნად დაიჩქარებს ბუჩქის მსხმოიარობის ეაღებს, ამაღლებს პლანტაციის მოსავლიანობას. (საკდესი).

ᲧᲐᲜᲓᲐᲠᲗᲔᲚᲝᲒᲘᲡ ᲒᲣᲨᲐᲒᲔᲑᲘ

12 ᲛᲐᲘᲡᲘᲡ მოსკოვის კავშირების სახლის სვეტებან დარბაზში მუშაობა დაიწყო სსრ კავშირის წითელ ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა კავშირის მერვე სრულიად საკავშირო ყრილობამ. მისი მონაწილეები იხილავენ ანგარიშს საზოგადოებათა კავშირის აღმასკომის მუშაობის შესახებ და მათ წინაშე სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად დასახულ ამოცანებს.

მომხსენებელმა — სსრ კავშირის წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა კავშირის აღმასკომის თავმჯდომარის მოგალეობის შემსრულებელმა ფ. გ. ზახაროვმა და კამათში გამოსულმა ამხანაგებმა აღნიშნეს, რომ სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებმა დასახეს ეანმრთელობის დაცვის განვითარების ახალი პერსპექტივები, რათა ეანრნთოლად შეასრულონ მათთვის დაკისრებული ამოცანები.

13 მაისს ყრილობამ მუშაობა დაამთავრა. მან მიიღო მიმართვა წითელი ჯვრის, წითელი ნახევარმთვარის, წითელი ლომისა და მზის საერთაშორისო და ეროვნული ორგანიზაციებისადმი, რომელიც მოეწოდებს განახორციელონ წითელი ჯვრის მოქმედების პროგრამა მშვიდობის დასაცავად.

მიღებულია გადწყვეტილება კაპიტალის ქვეყნების ომ პატიმართა განთავისუფლებისათვის, რომლებიც ჰუმანური რწმენისათვის საპყრობილეებში იტანჯებიან.

ყრილობის მონაწილეებმა დიდი აღფრთოვანებით გაუგზავნეს მისასალმებელი წერილი სკკპ ცენტრალურ კომიტეტს.

გაიმართა სსრ კავშირის წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა კავშირის პლენუმი. წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა კავშირის აღმასკომის თავმჯდომარედ არჩეულია ვ. ა. ბალტიისკი. (საკდესი).

სკკპ და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებანი — ცხოვრებაში

მეათე ხუთწლედის პრობლემები

მიზანი: ხალხის კეთილდღეობა

რატომ არის აუცილებელი საქართველოს ინდუსტრიული ზრდის დაჩქარება?

სკკპ XXV ყრილობამ შეაჯამა მეცხრე ხუთწლედში ჩვენი ქვეყნის განვითარების შედეგები და დასახა ახალი გრანდიოზული ამოცანები, რაც პარტიამ და ხალხმა უნდა გადაჭრან მეათე ხუთწლედში.

ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში აღნიშნა, რომ თავიანთი მთავარი ამოცანებით, სამეურნეო საქმიანობის მთავარი მიმართულებებით მეცხრე და მეათე ხუთწლედები ერთიანია, მთლიანია და პარტიის ეკონომიური პოლიტიკის გრძელვადიან ორიენტაციას ახასიათებს. ეს არის ეკონომიური სტრატეგია, რომლის მთავარი ამოცანაა ხალხის მატერიალური და კულტურული ცხოვრების დონის განუხრელი აღმავლობა.

თავისი ეკონომიური სტრატეგიის მიზნის მიღწევისათვის პარტიამ საჭიროდ მიიჩნია წარმოების მყარი ტემპებით ზრდისა და სტრუქტურის სრულყოფის უზრუნველყოფა.

1.

სსრ კავშირის სამრეწველო წარმოების მოცულობა მეათე ხუთწლედში 35-39 პროცენტით გაიზრდება. სკკპ XXV ყრილობაზე აღინიშნა, რომ მოცულობა ეს ზრდის ტემპი მეათე ხუთწლედში რამდენადმე ნაკლებია გათვალისწინებული, ვიდრე მეცხრე ხუთწლედში იყო. გარკვეულწილად აქ აისახა წინა წლების სიძნელეები. მაგრამ მთავარი ის არის, რომ მეათე ხუთწლედში სახალხო მეურნეობის ვეტი შეწონასწორება და პროპორციულობა უნდა უზრუნველყოთ, მუშაობის ხარისხობრივი მაჩვენებლების ამაღლების უკეთესი პირობები უნდა შეიქმნათ. სწორედ ეს არის მთავარი მიზანი, და არა ზრდის ტემპების რაც შეიძლება დაჩქარება.

ამავე დროს არ უნდა დაგავიწყდეს, რომ მატების თვითეული პროცენტის შინაარსი იცვლება. მაგალითად, ეროვნული შემოსავლის მოცულობამ 1980 წელს 457,5 მილიარდი მანეთი უნდა შეადგინოს. ეს იმას ნიშნავს, რომ ხუთწლედის ბოლოს იგი 96 მილიარდი მანეთით გადიდდება. მეათე ხუთწლედში სსრ კავშირის სამრეწველო წარმოების მატების ერთი პროცენტი 1,4-ჯერ მეტი იქნება, ვიდრე მეცხრე ხუთწლედში და 2,1-ჯერ მეტი — ვიდრე მერვე ხუთწლედში.

საქართველოს სამრეწველო წარმოების მოცულობა 1913-1940 წლებში 10-ჯერ გაიზარდა, რაც როგორც საშუალო საკავშირო, ისე ყველა სხვა მოკავშირე რესპუბლიკის მრეწველობის ზრდის ტემპს აღემატებოდა. მაგრამ ომისშემდგომ პერიოდში ვითარება რამდენადმე შეიცვალა. **1950 წელს საქართველომ აღნიშნული მაჩვენებლის მიხედვით მოკავშირე რესპუბლიკებს შორის მეოთხე ადგილზე გადაინაცვლა, 1960 წელს — მეექვსე ადგილზე და საშუალო საკავშირო დონეს გაუთანაბრდა. 1965 წელს — მეშვიდე ადგილზე აღმოჩნდა და საშუალო საკავშირო მაჩვენებელს ჩამორჩა, ხოლო 1974 წელს მეცხრე ადგილზე იყო.**

ჩვენ ახლა სამრეწველო წარმოების ზრდის ტემპების მიხედვით საქართველოს სსრ ჩამორჩენის მიზეზების გადმოცემას არ შევუდგებით. მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ საკავშირო მაჩვენებელთან შედარებით ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობის განვითარების უფრო ნელი ტემპი ზოგჯერ თვით საგეგმო დავალებებით იყო გათვალისწინებული, რაზედაც დუმდა რესპუბლიკის მაშინდელი ხელმძღვანელობა, ხოლო როცა სწრაფი ზრდა იყო დასახული — გეგმა შეუსრულებელი რჩებოდა.

1913-1974 წლებში მთელი ჩვენი ქვეყნის სამრეწველო წარმოების მოცულობა 122-ჯერ გაიზარდა, საქართველოს სს რესპუბლიკისა კი — 107-ჯერ, 1940-1974 წლებში ზრდის მაჩვენებლები შესაბამისად 15,8 და 10,5 იყო, ხოლო 1965-1974 წლებში — 2 და 1,9.

ცხადია, რომ საქართველო თავისი ინდუსტრიული განვითარების ტემპებით საშუალო საკავშირო და ზოგიერთი მოძძე რესპუბლიკის მაჩვენებლებს ჩამორჩა. ზრდის ტემპების მიხედვით ჩამორჩენის, ინდუსტრიული და საერთოდ ეკონომიური განვითარების დონის მიხედვით ჩამორჩენა მოჰყვა. **მეცხრე ხუთწლედში ჩვენს რესპუბლიკაში ერთ მცხოვრებზე 24 პროცენტით ნაკლები მოხმარების და დაგროვებისათვის გამოყენებული ეროვნული შემოსავალი მოდიოდა, ვიდრე საშუალოდ კავშირში. ჩამორჩენა მრეწველობის პროდუქციის მიხედვით 40 პროცენტს უდიდა, სოფლის მეურნეობის პროდუქციის მიხედვით — 38 პროცენტს. ამან, რასკვირველია, რესპუბლიკის მშრომელთა კეთილდღეობის დონეზე იმოქმედა.**

ეკონომიკის განვითარების ტემპებისა და დონის მიხედვით საქართველოს ამ ჩამორჩენაზე მოუთითებდნენ ჩვენი სწავლული ეკონომისტები არა მარტო რესპუბლიკის შიგნით, ორგანიზაციებში გაგზავნილ წერილებში, არამედ ოფიციალურ პუბლიკაციებშიც.

სამწუხაროდ, ახალგაზრდობისა და უფროსი თაობის ზოგიერთ წარმომადგენელს, ასე განსჯეთ, სწავლულსაც ნაწილსაც კი ამჟამადაც არ სჯერა მრეწველობის პროგრესული როლი ქვეყნის ეკონომიკაში, მისი დაჩქარებული განვითარების აუცილებლობა, და აწმყინდუსტრიულ განწყობილებას ავლენს.

ცხადია, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და მისი ცენტრალური კომიტეტი, რომლებიც ლენინური ეროვნული პოლიტიკის პრინციპებით ხელმძღვანელობენ, ეკონომიური და კერძოდ ინდუსტრიული განვითარების მიხედვით ჩვენი რესპუბლიკის დიდი ნნით ასეთ ჩამორჩენას ვერ დაუშვებდნენ. აქედან 1974 წლის იანვარში მიღებულ იქნა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ცნობილი დადგენილება — „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“, რაშიც ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების მეათე ხუთწლიანი გეგმის ძირითადი შინაარსი აისახა. **აღნიშნული დადგენილების განხორციელებით უზრუნველყოფილი უნდა იქნას ინდუსტრიული განვითარების დონის მიხედვით საშუალო საკავშირო მაჩვენებლებისაგან საქართველოს სსრ ჩამორჩენის არსებითად შემცირება.**

2.

რატომ არის აუცილებელი ჩვენი რესპუბლიკის ინდუსტრიული განვითარების დაჩქარება?

მრეწველობის განვითარების ტემპები, დონე და სტრუქტურა ქვეყნის საწარმოო ძალების განვითარების უმნიშვნელოვანესი დამახასიათებელი ნიშანია. თანამედროვე სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის პირობებში მრეწველობა წარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ ფაქტორს, რომელიც მეცნიერებასთან ერთად ტექნიკური პროგრესს განვითარებას განსაზღვრავს სახალხო მეურნეობაში.

მრეწველობა წამყვანი დარგია ყველა ეკონომიურად განვითარებული ქვეყნის სახალხო მეურნეობაში. აქ იქმნება შრომის საშუალებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ ძირითადი საწარმოო ფონდების განახლებას და გაფართოებულ კვლაწარმოებას ეკონომიკის ყველა დარგში. იგი გადამწყვეტ როლს ასრულებს მთელი სახალხო მეურნეობის სამხრეთი ფონდების კვლავწარმოებაშიც.

მრეწველობაში იქმნება თანამედროვე სამხედრო, კოსმოსური და სხვა სამეცნიერო-ექსპერიმენტული ტექნიკა; იგი აწარმოებს პირტყვის საკვებს, სოფლის მეურნეობას აწვდის მინერალურ სასუქებს, სასოფლო-სამეურნეო მანქანებს, მცენარეთა დაცვის ქიმიურ საშუალებებს, მეცხოველეობისათვის საჭირო ფარმაცევტულ ნაწარმს, პირადი მოხმარების საგნების უდიდეს ნაწილს. ამით მრეწველობა გადამწყვეტ როლს ასრულებს მშრომელთა მზარდ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაში.

საერთოდ მრეწველობა და კერძოდ მძიმე მრეწველობა გაფართოებული კვლავწარმოების საფუძველია. იგი აიარაღებს სახალხო მეურნეობას უახლესი ტექნიკით, ამით უზრუნველყოფს შრომის ნაყოფიერების ზრდას და წარმოების მასშტაბების გაფართოებას.

ეკონომიკის განვითარებაში მრეწველობის წამყვანი როლი მისი ზრდის უფრო სწრაფი ტემპებითაც ელინდება. 1913-1974 წლებში ჩვენი ქვეყნის ეროვნული შემოსავალი 58-ჯერ გადიდდა, სოფლის მეურნეობის პროდუქცია — 3,4-ჯერ, ხოლო სამრეწველო წარმოების მოცულობა, როგორც ზემოთ უკვე ითქვა, — 122-ჯერ.

საზოგადოებრივი წარმოების სრულყოფა და მისი ეფექტიანობის ზრდა ეროვნული შემოსავლის შექმნაში ეკონომიკის ინდუსტრიული დარგების (მრეწველობა, მშენებლობა, ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა) და პირველ რიგში მრეწველობის ხვედრითი წონის ამაღლებასთან არის დაკავშირებული. ქვეყნის ინდუსტრიული განვითარების დაბალ ტემპებს და მრეწველობის სუსტ როლს ეკონომიკაში ვერ შეეგუებოდებით, რადგან ეკონომიკა უეფექტო იქნება და — ეს იმას ნიშნავს, რომ შეეგუოთ ჩამორჩენილობას.

ჩვენს რესპუბლიკაში ეკონომიკის ინდუსტრიული დარგებისა და პირველ რიგში მრეწველობის უპირატესი განვითარება აუცილებელია აგრეთვე იმიტომაც, რომ **უზრუნველყოთ მოსახლეობის სრული დასაქმება.**

მსოფლიო მასშტაბით ეკონომიური განვითარების კანონზომიერება ის არის, რომ ინდუსტრიის ზრდისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების მექანიზაციის საფუძველზე ხდება სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა აბსოლუტური და შეფარდებითი შემცირება, სოფლის მოსახლეობის საქმიანობის სხვა დარგებში გადასვლა.

1913 წელს რუსეთის სოფლის მეურნეობასა და სატყეო მეურნეობაზე სახალხო მეურნეობაში დასაქმებულთა 75 პროცენტი მოდიოდა. **1974 წელს საშუალოდ კავშირში ეს მაჩვენებელი 24 პროცენტს უდრიდა, საქართველოში კი — 36 პროცენტს.** განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში აღნიშნული მაჩვენებელი ბევრად ნაკლებია. ცხადია, რომ ჩვენი რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო წარმოების ელექტრიფიკაციის, ქიმიზაციისა და მექანიზაციის განვითარების კვალობაზე თანდათან სულ უფრო მეტი მუშახელი დატოვებს სასოფლო-სამეურნეო წარმოებას და იგი ეკონომიკის სხვა დარგებში, და პირველ რიგში მრეწველობაში უნდა დავასაქმოთ.

ამჟამად ჩვენს წინაშე უკვე დგას საშუალო და მცირე სიდიდის ქალაქებში სამუშაო ძალის ბალანსის პრობლემა. შრომისუნარიანი მოსახლეობის ერთი ნაწილი სამუშაოს რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ ეძებს. სოფლის მეურნეობიდან სამუშაო ძალის გამოთავისუფლების კვალობაზე დასაქმების პრობლემა კიდევ უფრო გამწვავდება, თუ საშუალო და მცირე სიდიდის ქალაქებში მრეწველობას არ განავითარებთ, თუ ახალ საწარმოებს არ აკეთებთ, ან არსებულ საწარმოთა სამმართველოებსა და ფილიალებს არ გაგზავნით. ეს მით უფრო აუცილებელია, **რომ ჩვენს რესპუბლიკაში მრეწველობასა და მშენებლობაზე სახალხო მეურნეობაში დასაქმებულთა 28 პროცენტი მოდის, მაშინ როცა საშუალო საკავშირო მაჩვენებელი 38 პროცენტს უდრის.**

საქართველოში მნიშვნელოვნად დიდია იმ შრომისუნარიანი მოსახლეობის წილი, რომელიც საზოგადოებრივ მეურნეობაში არ მონაწილეობს და მხოლოდ პირად დამხმარე, და სოფლახო მეურნეობაში საქმიანობს. მუშათა და მოსამსახურეთა საერთო რიცხვში ქალები საშუალოდ კავშირში 51 პროცენტს შეადგენს, საქართველოში — 45 პროცენტს. ცხადია, ჩარსულის ნეგატიური მოვლენების დაძლევის, სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარებისა და მომსახურების სფეროს მუშაობის გაუჯობესების კვალობაზე მათი სულ უფრო მეტი ნაწილი ისურვებს მუშაობას თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილ, მექანიზებულ და ჰიგიენურ საწარმოებში, რომლებიც უნდა შეიქმნას.

ინდუსტრიისა და მთლიანად ეკონომიკის სწრაფი ტემპებით განვითარება აუცილებელია მშრომელთა, რესპუბლიკის მთელი მოსახლეობის კეთილდღეობის შემდგომი ამაღლებისათვის. წარმოებას მასშტაბების გაფართოება შექმნის ეროვნული შემოსავლის მზარდ რესურსებს მოხმარებისა და დაგროვების ფონდების ერთდროულად ხარფი გადიდებისათვის, ხაბინარ და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და საერთოდ მომსახურების სფეროს ობიექტების მშენებლობისა და განვითარებისათვის.

ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში დასაქმებულ მუშათა და მოსამსახურეთა საშუალო თვიური ხელფასი საშუალო საკავშირო დონეს მნიშვნელოვნად ჩამორჩება. ამის ერთ-ერთი მიზეზია სოფლის მეურნეობის, აგრეთვე მსუბუქი და კვების მრეწველობის მაღალი ხვედრითი წონა ეკონომიკაში, სადაც მძიმე ინდუსტრიის დარგებთან შედარებით ხელფასის უფრო დაბალი განაკვეთებია. **მრეწველობისა და მისი პროგრესული დარგების გაფართოებას მთლიანად სახალხო მეურნეობაში დასაქმებულთა საშუალო თვიური ხელფასის დონის ამაღლება მოჰყვება.**

ინდუსტრიის განვითარება, მისი ახალი დარგების აღმოცენება და ზრდა ხელს შეუწყობს მუშათა კვალიფიკაციისა და ზოგადი განათლების დონის ამაღლებას, ინჟინერ-ტექნიკური პერსონალისა და ინტელიგენციის რიცხვის ზრდას.

ყოველივე ეს „ჯ მთელი მოსახლეობის, ჩვენი ერის კულტურისა და განათლების დონის ამაღლებას გამოიწვევს.

3.

სკკპ XXV ყრილობისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტში — „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976-1980 წლების ძირითადი მიმართულებები“ **მეათე ხუთწლედში საქართველოს სსრ სამრეწველო წარმოების გადიდება 35-39 პროცენტით იყო გათვალისწინებული. ეს იმდენი იყო, რამდენიც საშუალოდ კავშირში. ეს იმას ნიშნავდა, რომ საქართველოს ხუთწლედი ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთდამოკიდებულებაში ერთ-ერთ ადგილზე ამოდიოდა.**

ამიტომ შემოხვევითი არ არის ის ფაქტი, რომ გაითვალისწინა რა საქართველოს დაჩქარებული ინდუსტრიულ-ეკონომიური განვითარებისა და მისი ჩამორჩენის რაც შეიძლება სწრაფი დაძლევის საჭიროება, რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ სკკპ XXV ყრილობაზე აღძრა საკითხი **მეათე ხუთწლედში საქართველოს სსრ მრეწველობის ზრდის საგეგმო მაჩვენებელი 41 პროცენტამდე გადიდებულიყო.**

ამავე დროს აღინიშნა, რომ ეს ზღვარი არ არის, და უფრო მეტსაც შეიძლება მივაღწიოთ, თუ ერთი მხრივ მაქსიმალურად გამოვიყენებთ ჩვენს შინაგან რეზერვებს, ავამაღლებთ საწარმოო სიმძლავრეთა გამოყენების ეფექტიანობას, ხოლო მეორე მხრივ საკავშირო სამინისტროები და ორგანოები საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარებაზე შესახებ პარტიისა და მთავრობის მიერ მიღებული დადგენილების განხორციელებაში დაგვეხმარებიან.

ამრიგად, აქ საკითხი ეხება არა იმას, რომ წამოყენებული ამოცანები ან დაძაბული გეგმა, აღებულია დამატებითი ვალდებულება, არამედ იმას, რომ დავძლიოთ ჩვენი რესპუბლიკის ჩამორჩენა ინდუსტრიული განვითარების დონის მიხედვით, რაც შეუძლებელია თუ მთლიანად კავშირის მრეწველობასთან შედარებით რესპუბლიკის მრეწველობის უპირატესი ზრდის ტემპებით განვითარება არ განხორციელდა.

საჭირო იყო ინდუსტრიის ზრდის უფრო ჩქარი ტემპების აღება და მისი როგორც საგეგმო დავალების ფიქსირება სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებში, და, ცხადია, მისი შესრულებისათვის საჭირო რესურსების გაანგარიშებითა და გამოყოფით. ეს განხორციელდა.

სკკპ XXV ყრილობის მიერ დამტკიცებულ „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976-1980 წლების ძირითად მიმართულებებში“ ჩვენს რესპუბლიკას სამრეწველო წარმოების გადიდების საგეგმო მაჩვენებელი მეათე ხუთწლედისათვის **37-41 პროცენტი დაუწესდა პროექტით გათვალისწინებული 35-39 პროცენტის ნაცვლად.**

ამრიგად, მეათე ხუთწლედში დაიგეგმა საქართველოს სსრ ინდუსტრიის ზრდის უფრო სწრაფი ტემპი, ვიდრე საშუალოდ კავშირშია. ეს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მთავრობის მეტად მოფიქრებული ნაბიჯია. მათ სწორად შეფასესეს შექმნილი მდგომარეობა და რესპუბლიკის მშრომელთა შემოქმედებითს ენერგიას წარმართავენ ამ ალო წარსულის ნეგატიური მოვლენებისა და მათ შორის ინდუსტრიული განვითარების დონის მიხედვით საქართველოს ჩამორჩენის დაძლევისაკენ.

მეათე ხუთწლედში საქართველოს სს რესპუბლიკამ **მთლიანად თავისი ეკონომიური განვითარების ტემპითაც უნდა გაუსწროს საშუალო საკავშირო მაჩვენებელს,** თუნდაც იმიტომ, რომ მისი ეკონომიკის მეორე უმსხვილესი დარგი — სოფლის მეურნეობა მეცხრე ხუთწლედთან შედარებით 21-24 პროცენტით გაადიდებს პროდუქციის საშუალო წლიურ წარმოებას, მაშინ როცა კავშირის მიხედვით ეს მაჩვენებელი 14-17 პროცენტს უდრის. ამასთან, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ სოფლის მეურნეობის ხვედრითი წონა ჩვენი რესპუბლიკის ეროვნული შემოსავლის შექმნაში 30 პროცენტია, მაშინ როცა საშუალოდ კავშირში 18 პროცენტს უდრის, ეკონომიური განვითარების ტემპები გასწრება უფრო მეტი იქნება.

ყოველივე ამან ხუთწლედში მთლიანად ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიური განვითარების დონის მიხედვით ჩამორჩენის მნიშვნელოვნად შემცირება, ხოლო მომდევნო პერიოდში მისი საბოლოოდ დაძლევა უნდა უზრუნველყოს.

ეს ხალხთა კეთილდღეობისა, ყველა მშრომელის მეტად მნიშვნელოვანი და საპატიო ამოცანაა.

ვ. ადვაძე,
ეკონომიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

სკოლა და ცხოვრება

რუსული ენის სწავლებას მიეძღვნა

ბაიმარსა აფხაზეთის რუსეთ-ბლიკური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია ეროვნულ სკოლებში რუსული ენის სწავლების პრობლემებზე. ეს ჩატარდა ინტერნაციონალური აღზრდის საკითხებზე სრულიად საკავშირო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის წინ, რომელიც თბილისში გაიმართება.

კონფერენცია, რომელიც სოხუმის ს. ჭანბას სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში მიმდინარეობდა, შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა გ. ხინთბამ.

აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ლ. მარშანია გამოვიდა მოხსენებით „რუსული ენა საბჭოთა კავშირის ყველა ერისა და ეროვნების ურთიერთობისა და თანამშრომლობის ენაა“.

მოხსენებებით გამოვიდნენ აგრეთვე აფხაზეთის ასსრ განათლების მინისტრი ფ. კოლონია, სოხუმის მ. გორკის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი, პროფესორი ზ. ანჩაბაძე. ამავე ინსტიტუტის კათედრის გამგე გ. თარბა, აფხაზეთის ასსრ განათლების სამინისტროს სასკოლო ინსპექტორი, საქართველოს სსრ და აფხაზეთის ასსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებელი ლ. ძნელაძე და სხვ.

სამეცნიერო-პრაქტიკულმა კონფერენციამ მიიღო სათანადო რეკომენდაციები.

ი. ბოგბეჩია,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

სტუმრები კახეთიდან

თელავი. (საკ. კორ.). მეგობრული ურთიერთობის დასამყარებლად ამ დღეებში სოფელ ყარაჯალეს საშუალო სკოლას ეწვივნენ მომმე აზერბაიჯანის კახის რაიონის წარმომადგენლები. სტუმართა შორის იყვნენ კომკავშირის კახის რაიკომის პირველი მდივანი ზ. მუთალიბოვა, რაიონული გაზეთის რედაქტორი ყ. ახმედოვი, ამავე გაზეთის ქართული განყოფილების გამგე ა. ბაბიაშვილი, სამმაფლო ომის ვეტერანთა რაიონული საბჭოს თავმჯდომარე ა. ბაბაევი. მათთან ერთად იყვნენ სოფლის მეურნეობის, განათლების, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვისა და სხვა დარგების მოწინავე მუშაკები, სულ 32 კაცი.

სკოლაში მოსწავლეებთან და პედაგოგებთან ერთად სტუმრებს გულითადად შეხვდნენ ხოფლის მშრომელები.

სტუმრებმა დიდი ინტერესით დაათვალიერეს თელავის რაიონის ისტორიული ადგილები, გაეცნენ ქართული სოფლების კულტურას, ყოფა-ცხოვრებას.

გამომშვიდობებისას სტუმრებმა კახეთში მიიწვიეს მასპინძლები.

ა. თვალიაშვილი.

უპირველესია ალზრდა

ახალციხე. (საკ.კორ.). პირველი საშუალო სკოლის დირექციასა და პედაგოგიურ კოლექტივს საქმიანი ურთიერთობა აქვს დამყარებული მოსწავლეთა ოჯახებთან. სკოლაში სისტემატურად ეწყობა სხვადასხვა საინტერესო ღონისძიება მოსწავლეთა მშობლების მონაწილეობით.

ამ დღეებში აქ მოსწავლეთა მშობლებისათვის შედგა თეორიული კონფერენცია, რომლის მონაწილეებმა მოისმინეს მოხსენებები თემებზე: „მშობლის პირადი მაგალითი და ავტორიტეტი“, „კულტურული ქცევების აღზრდა ოჯახში“, „ოჯახის როლი ბავშვთა შრომითი აღზრდისა და პროფესიული ორიენტაციის საქმეში“, „ბავშვთა აღზრდა სქესობრივი ჰიგიენის ამბავში“, „მამების როლი მოსწავლეთა სამართლებრივი აღზრდის საქმეში“. ამ თემებზე დამსწრეთ ეხაუბრნენ სკოლის მასწავლებლები ი. წიქარიშვილი, მ. მაღლაკელიძე, მ. ელენტი, კ. ლეკიძე, იურისტი პ. პეტრიაშვილი.

დასასრულ გაიმართა კონცერტი.

შ. მაისურაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოში პირველი

● ცილოვანი საკვების საამქრო ● ერთი კილოგრამი კარბამიდით შეიძლება დამატებით მივიღოთ 10 კილოგრამი რძე, 2 კილოგრამი წონამატი მსხვილფეხა პირუტყვში და 1,5 კილოგრამი წონამატი ცხვარში.

ნავთლულის პურ-პროდუქტების კომბინატის ეზოში ამ ექვსი თვის წინათ საფუძველი ჩაეყარა ახალი ცილოვანი საკვების — კარბამიდიანი კონცენტრატის საამქროს მშენებლობას. ამ ახალ საქმეს, რომელიც საქართველოს დამზადების სამინისტროს ინიციატივით დაიწყო, მხარში ამოუდგნენ საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტრო, დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხანა და რესპუბლიკური გაერთიანება „სპასოფლტექნიკა“.

შეიქმნა სპეციალური მემონტაჟეთა ბრიგადა (ხელმძღვანელი ა. ფირცხალავა).

კომბინატისა და ეროვნული საკვების მრეწველობის საკავშირო სამეცნიერო საკვლევი ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის (დირექტორი რ. გიორგობიანი), მეცნიერი მუშაკები ლ. მჭედლიშვილი, ბ. კაკაძაძე, ი. პარლაკაშვილი, თ. ღლონტი, ზ. უგრეხელიძე) მონაწილეობით სულ მოკლე დროში — ექვს თვეში მწყობრში ჩადგა დაბადების სამეწესტროს ხაზით საბჭოთა კავშირში პირველი ახალი ცილოვანი საკვების — კარბამიდიანი კონცენტრატის ცალკე საამქრო. ამ საქმეში გარკვეული წვლილი მიუძღვის ნამდვილად პურ-პროდუქტების კომბინატის მთავარ ინჟინერს გ. ნასარიძეს და მის მოადგილეს ენერგეტიკოს რ. მინდორაშვილს.

3 მაისიდან საამქრომ დაიწყო პირუტყვისათვის ახალი ცილოვანი საკვების გამოშვება.

— აქ დანერგილია სრული ავტომატიზაცია და მექანიზაცია — გვითხრა საუბარში საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროს ნავთლულის პურ-პროდუქტების კომბინატის დირექტორმა ეფაქ ბესელიამ, — რესპუბლიკას შესაძლებლობა აქვს კომბინირებულ საკვებთან ერთად წლეულს გამოუშვას 8-10 ათასი ტონამდე ახალი ცილოვანი საკვები. ეს ჩვეულებრივი ნედლეულია, ახალი ცილოვანი საკვებია და თავისი კვებითი თვისებებით უტოლდება კოპტონსს და შრატებს, ახალი საკვების 1 ტონა ექვივალენტი 5 ტონა ბარლას უდრის.

ჩვენი მეცხოველეობა ცილოვანი საკვების ნაკლებობას განიცდის. ეს ხელს უშლის საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებას, რძისა და ხორცის სიუხვის შექმნას. ამიერიდან შესაძლებლობა იქმნება ეს დანაკლისი შეივსოს ახალი ცილოვანი საკვებით — კარბამიდის კონცენტრატის გამოყენებით. დადგენილია, რომ კილოგრამი კარბამიდი ექვივალენტურია 2,6 კილოგრამი მონელებადი ცილებისა და საშუალებას იძლევა დამატებით მივიღოთ 10 კილოგრამი რძე, 2 კილოგრამი წონამატი მსხვილფეხა რქიანი პირუტყვში და 1,5 კილოგრამი წონამატი ცხვარში.

საინტერესოა, როგორ მზადდება ახალი ცილოვანი საკვები — კარბამიდიანი კონცენტრატი? მის დასამზადებლად იყენებენ დაფქული მარცვლის 75 პროცენტს, 20 პროცენტ კარბამიდს და 5 პროცენტ ბენტონიტს. ამით წინასწარ მზადდება ნარევი და თვითონ კონცენტრატი მისი პრეს-ექსტრუდერში გატარების შემდეგ მიიღება.

ექსტრუდერიდან მიღებულ პროდუქციას აშრობენ და გაცივების შემდეგ ფქვავენ ფარფლის სახით. სწორედ ამის შემდეგ სრულად იღებენ ახალი სახის ცილოვან საკვებს — კარბამიდიან კონცენტრატს.

როგორ ხდება პირუტყვისათვის ამ ახალი საკვების გამოყენება? ახალი ცილოვანი საკვების მხოლოდ 10 პროცენტს შეურევენ კომბინირებულ საკვებში, ამით შესაძლებელი ხდება კომბინირებულ საკვებში გამოათავისუფლონ 12-14 პროცენტი შროტი, რაც 100 ტონა პროდუქციაზე შეადგენს 12-14 ტონა მცენარეულის სახის ცილოვან საკვებ შროტს, რომელიც შეიძლება გამოვიყენოთ სხვადასხვა სახის კომბინირებული საკვების დამზადებაში. ეს საკვების დიდი რეზერვია.

დამზადების სამინისტროს სისტემაში — ახალი ცილოვანი საკვების — კარბამიდიანი კონცენტრატის საამქროში თვალსაჩინოდ ადევნებენ მანქანა-დანადგარების მუშაობას. თუ რამე შეფერხება მოხდა, სწრაფად აღმოფხვრიან. საამქროში ყურადღებას აქცევენ თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხანაში (დირექტორი ი. ზვიდელიანი) დამზადებული 10 საკვების დამამზადებელი დანადგარი, რომელიც შედგება ორი ძირითადი — დოზატორისა და შნეკური წნების ერთანეულისაგან.

ამიერიდან რესპუბლიკის კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები მიიღებენ სრულიად ახალ ცილოვან საკვებს — კარბამიდიან კონცენტრატს.

შ. ჭოჭუა,
„კომუნისტის“ სპეციალური კორესპონდენტი.

* * *

სურათზე: კარბამიდის კონცენტრატების ახალი საამქრო, რომელშიც ძვირფასი საკვები მზადდება.

ი. დამიანაშვილისა და მ. დათიკაშვილის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ოფიციალური განყოფილება

დაჯილდოება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1976 წლის 13 მაისის ბრძანებულებებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოვდნენ:

ამხ. თამარ დავითის ასული ბერიშვილი, — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების ინსტრუქტორი, — პარტიულ ორგანიზებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით.

ამხ. მარიამ იოსების ასული მამუკაშვილი, — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური განათლების რესპუბლიკის სახლის ბიბლიოთეკის გამგე, — განათლებისა და პარტიულ ორგანიზებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით.

ამხ. თენგიზ იოსების-ძე ხელაშვილი, — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საქმეთა მმართველი, — კომკავშრომელ, საბჭოთა და პარტიულ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით.

ამხ. ლევან რაფიელის-ძე ხვიჩია, — საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტთან არსებული პარტიული კომისიის თავმჯდომარე, — პარტიულ ორგანოებსა და განათლების ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით.

საპატიო წოდებების მინიჭება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1976 წლის 13 მაისის ბრძანებულებებით იურისპრუდენციის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, ქალის საერთაშორისო წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტის საპატიო წოდება მიენიჭათ:

აბაშიძეს ელენე გიორგის ასულს — საქართველოს სსრ პროკურატურის განყოფილების პროკურორს.

ბაღდასაროვას ამალია სუმბათის ასულს — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრს.

ბელიავსკაიას სვეტლანა ალადმერის ასულს — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საერთო განყოფილების გამგის მოადგილეს.

მგელაძეს ელისაბედ ილიას ასულს — საქართველოს სსრ პროკურატურის განყოფილების პროკურორს.

მარაზაშვილს ნინო ვასილის ასულს — საქართველოს სსრ პროკურორის თანაშემწეს.

ნიკურაძეს ლეილა ივანეს ასულს — საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სამმართველოს უფროსის მოადგილეს.

ფიფიას ნორა ალექსანდრეს ასულს — აფხაზეთის ასსრ პროკურორის თანაშემწეს.

ქაჯაიას მატისა ლევანის ასულს — აჭარის ასსრ პროკურორის თანაშემწეს.

ქუმსიაშვილს ანა იორამის ასულს — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრს.

ჩიქვანიძეს ეფიერ მიხეილის ასულს — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრს.

ხიდეშელს ქსენია ივანეს ასულს — საქართველოს სსრ პროკურატურის განყოფილების უფროსის მოადგილეს.

ჯაბახიშვილს ნინო მიხეილის ასულს — საქართველოს სსრ უმაღლესი სასჯელის აღსრულების სამმართველოს უფროსის მოადგილეს.

ადამიანის ჯანმრთელობისათვის

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება „მოსახლეობისათვის ონკოლოგიური დაავადებების შემდგომი გაუჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

მოკავშირე რეს

ხალხთა სოლიდარობა დროის მოთხოვნაა

X X ЛЕТ

ბაკო. (საკდესის კორ.). დედაქალაქ ალჟირთულ ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ჩირაღდანი ემბლემა გახდა აზია-აფრიკის ხალხთა სოლიდარობის IV საბჭოთა კონფერენციისათვის, რომელიც 12 მაისს გაიხსნა ბაკოში ვ. ი. ლენინის სახელობის სასახლეში.

აზია-აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის საბჭოთა კომიტეტის თავმჯდომარემ მ. ტურსუნ-ზადემ, რომელმაც კონფერენცია გახსნა, აღნიშნა, რომ ეს კონფერენცია დაემთხვა კომიტეტის 20 წლისთავს. საბჭოთა საზოგადოებრიობა აფრიკა-აზიის სოლიდარობის მოძრაობის მებრძოლ რიგებში იყო მუდამ. ეს ჩვენი ხალხის პატრიოტიზმის, აზიისა და აფრიკის ხალხთა ანტიკოლონიური, ანტიიმპერიალისტური ბრძოლის აღმავლობის ყველა ეტაპზე ინტერნაციონალური მოგალეობისადმი საბჭოთა ადამიანების ერთგულების მკაფიო გამოვლინებაა.

კონფერენციის მონაწილეებმა საპატიო პრეზიდიუმში ერთსულოვნად აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, მთავრობისა და მშრომელების სახელით კონფერენციის მონაწილეებს მიესალმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი გ. ა. ალიევი.

ჩემთვის განსაკუთრებით სასიამოვნოა, თქვა მან, შევასრულო საპატიო დავალება — გულითადად მიეესალმო ყველაზე საუკეთესო გუნჯრეთ კონფერენციის დელეგატებსა და სტუმრებს და თქვენი სახით აზია-აფრიკის ხალხთა სოლიდარობის მოძრაობის ყველა მონაწილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებთან, რომელმაც დასახა მშრომელობისა და საერთაშორისო თანამშრომლობისათვის, ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის პროგრამა. ყრილობის მიერ გამოცხადებული საგარეო-პოლიტიკური კურსის რეალურობა და ძალა ეყრდნობა იმ წარმატებების შტკიცე საძირკველს, რომლებიც მშვიდობის პროგრამის შესრულების მსვლელობაში მოვიპოვეთ. ამ პოლიტიკის სამართლიანი და პუმანური პრინციპები ახლობელი და გასაგებია ყველა კეთილი ნების ადამიანისათვის, ისინი ასახავენ ჩვენი დროის სულისკვეთებას, მათში სორცშესხმულია ხალხთა ფიქრები და მისწრაფებანი.

ხალხთა მშვიდობისა და უშიშროებისათვის ბრძოლაში, ხაზგასმით აღნიშნა გ. ა. ალიევმა, უდიდეს როლს ასრულებს ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი, მუშის შვილმა, თვითონაც მუშამ, მან მთელი თავისი მჭეფარე ცხოვრება მიუძღვნა მშრომელი ადამიანების სამსახურს. დიდი ლენინის საქმის ერთგულმა გამგრძელებელმა, დიდად ნიჭიერმა და სულგრძელმა ადამიანმა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა საბჭოთა ადამიანების უსაზღვრო სიყვარული დაიმსახურა თავისი დაუცხრომელი, თავდადებული შრომით სამშობლოს საკეთილდღეოდ. მან ყველა კონტინენტის ხალხთა შორის დიდი ავტორიტეტი და აღიარება მოიპოვა როგორც ბრძენმა, შორსმჭვრეტელმა პოლიტიკოსმა, ომის აღკვეთისათვის, იმპერიალიზმის წინააღმდეგ, მთელი მშრომელი კაცობრიობის ბედნიერებისა და აყვავებისათვის მგზნებარე მებრძოლმა.

უდიდესი ქმაყოფილებით შეხედნენ საბჭოთა ადამიანები, ყველა ჩვენი მეგობარი ქვეყნის ფარგლებს გარეთ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევისათვის საბჭოთა კავშირის მარშლის წოდების მინიჭებას. ნება მიბოძეთ, ამხანაგებო, ჩვენი კონფერენციის მონაწილეთა სახელით, აზერბაიჯანის კომუნისტებისა და ყველა მშრომელის სახელით გულითადად მივულოცო ლეონიდ ილიას ძეს ჩვენი ქვეყნის უმაღლესი მხედრული წოდების მინიჭება და ვუსურვო ახალი დიდი წარმატებანი მის მრავალმხრივ საქმიანობაში, რომელსაც ეწევა ჩვენი პარტიისა და ქვეყნის ხელმძღვანელობისათვის, დაუცხრეველ ბრძოლაში ქვეყნად მტკიცე, სამართლიანი მშვიდობისათვის, ხალხთა ნათელი მომავლისათვის.

შეეხო რა სხრ კავშირში ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვებას, ორატორმა ცხადყო იგი საბჭოთა აზერბაიჯანის მიღწევებით, რომელმაც პარტიის ხელმძღვანელობით ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხისა და უფროსის ყოვლისა დიდი რუსი ხალხის ძმური დახმარებით მოიპოვა უდიდესი წარმატებანი სოციალისტურ და კომუნისტურ მშენებლობაში.

მან აღნიშნა, რომ ჯერ კიდევ 1920 წელს ბაკო—დამაკავშირებელი რგოლი რევოლუციურ მოელენთის ჯაჭვში, რომლებიც აერთიანებდნენ ევროპის პროლეტარიატისა და თავიანთი განთავისუფლებისათვის საბრძოლველად აღმდგარ კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების ხალხთა მასებს, გახდა აღმოსავლეთის ხალხთა პირველი ყრილობის მოწყობის ადგილი, რომელიც მოიწვიეს ვ. ი. ლენინის ინიციატივით. ყრილობამ ცხადყო აღმოსავლეთის ქვეყნებში რევოლუციური, ანტიიმპერიალისტური ძალების ზრდა, მათი სოლიდარობა საბჭოთა რუსეთთან.

ძირეული ცვლილებანი მოხდა მას შემდეგ მსოფლიოს პოლიტიკურ რუკაზე. დიდი ოქტომბრის მიერ დანთებულმა რევოლუციის ალმა მოიცვა ყველა კონტინენტი, განვითარების დიდი გზა გაიარა მსოფლიო რევოლუციურმა პროცესმა, წარმოიშვა და თანამედროვეობის წამყვან პოლიტიკურ ძალად იქცა მსოფლიო სოციალისტური სისტემა. უდიდესი წარმატებანი მოიპოვა ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ. მისი ზეგავლენით დაინგრა იმპერიალიზმის კოლონიური სისტემა და მის ნანგრევებზე წარმოიშვა ათობით სუვერენული სახელმწიფო აზიასა და აფრიკაში, რომელთა ხალხები ძალმომრეობისა და ექსპლოატაციის ობიექტებიდან ახალი ცხოვრების აქტიურ შემოქმედად გადაიქცნენ.

სოციალიზმის იდეების ცხოველმყოფელობის, ძმური სოლიდარობის ძალისა და ძლიერების მკაფიო დადასტურება იყო ვიეტნამელი ხალხის შესანიშნავი გამარჯვება იმპერიალისტი აგრესორების წინააღმდეგ ბრძოლაში. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამარჯვებებმა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ახალი კარგი პერსპექტივები დაუსახეს აზიის კონტინენტის ყველა ხალხს. იმპერიალისტური ძალები აზიის ქვეყნების ფართო საზოგადოებრიობას ზეგავლენით იძულებული არიან უკან დაიხიონ. მცირდება აზიის ქვეყნების საქმეებში მათი უშუალო ჩარევის შესაძლებლობანი.

ანტიიმპერიალისტური მოძრაობის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია არაბი ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა, რომელმაც ბევრი სასიკეთოანი გამარჯვება მოიპოვეს. მოწონავე არაბული სახელმწიფოები, რომლებმაც მიაღწიეს ეროვნულ დამოუკიდებლობას თანამიმდევრულად ახორციელებენ დიდმნიშვნელოვან სოციალურ-ეკონომიურ გარდაქმნებს, რომლებიც არყევენ იმპერიალისტურ მონოპოლიათა პოზიციებს. ორატორმა აღნიშნა, რომ ამ ბოლო დროს არაბულ აღმოსავლეთში შესამჩნევად გააქტიურდნენ იმპერიალისტური ძალები, და განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირის პოზიცია ახლო აღმოსავლეთის საკითხში კარგად არის ცნობილი. სამართლიანი და მყარი მშვიდობა ამ რაიონში შეიძლება მიღწეულ იქნეს მხოლოდ მიტაცებული მიწებიდან ისრაელის ჯარების მთლიანად გაყვანის, პალესტინის არაბი ხალხის კანონიერ უფლებათა უზრუნველყოფის, ახლო აღმოსავლეთის ყველა სახელმწიფოსა და ხალხისათვის საიმედო უშიშროებისა და მშვიდობის შექმნის საფუძველზე.

დიდი წარმატებანი მოიპოვა ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ აფრიკაში. ამ კონტინენტზე კოლონიური სისტემის მარცხი შეიძლება მივიჩნიოთ გარდამტეხ ეტაპად არაბი ხალხების ისტორიაში, რომლებიც დამოუკიდებელი ეროვნული და სახელმწიფოებრივი განვითარების გზას დაადგნენ.

აზიისა და აფრიკის ხალხთა სოლიდარობის მოძრაობამ, რომელიც თითქმის 20 წლის წინათ წარმოიშვა, თქვა შემდეგ ორატორმა, მოკლე დროში თავის ორბიტაში მოაქცია ათობით სახელმწიფო, მილიონობით სხვადასხვა ეროვნების, რასისა და სარწმუნოების ადამიანი. აფრიკა-აზიის ქვეყნების სოლიდარობა გახდა მძლავრი ანტიიმპერიალისტური ფაქტორი, რომელიც აკავშირებს ხალხის ფართო მასებს, რევოლუციურ-დემოკრატიულ და პროგრესულ ორგანიზაციებს დამოუკიდებლობისათვის, სოციალური, ეკონომიური და კულტურული განვითარების პროგრესული გზისათვის ბრძოლაში.

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობა, რომელიც ხელს უწყობს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმატებათა განუხრელ ზრდას, არის საბჭოთის, სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების მშვიდობისა და საერთაშორისო დაძაბულობის შენელების პოლიტიკა. იგი მნიშვნელოვნად ამსუბუქებს კოლონიალიზმის წინააღმდეგ სამართლიანი ბრძოლის პირობებს, საშუალებას აძლევს ჩაგრულ ხალხებს წარმატებით წინააღუდგნენ იმპერიალისტურ გავლენას, აირჩიონ განვითარების ისეთი გზა, რომელიც სავსებით შეესაბამება მათს იმედებსა და მისწრაფებებს.

გ. ა. ალიევმა გააანალიზა სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მჭიდრო თანაშრომლობის განვითარება და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამას ხელს უწყობს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და მოძმე პარტიების მუდმივი კავშირურთიერთობა და კონტაქტები რევოლუციურ-დემოკრატიულ პარტიებთან. ამით ვლინდება საერთაშორისო კომუნისტური, მუშათა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სოლიდარობისა და კავშირის ახალი ფორმა.

საბჭოთა ხალხი, რომელიც ასრულებს პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ლენინურ პრინციპებს, აქტიურად მონაწილეობს ხალხთა საერთო ბრძოლაში იმპერიალიზმის ყველა ფორმის სოციალური და რასობრივი ჩაგვრის წინააღმდეგ. თავისუფლებისათვის, დემოკრატიისა და სოციალური პროგრესისათვის. ჩვენი ქვეყანა მუდამ იყო, არის და იქნება ერთიანი მსოფლიო ანტიიმპერიალისტური ფრონტის ყველა მებრძოლის საიმედო მოკავშირე და მეგობარი. ჩვენს ლენინურ პარტიას, მთელ საბჭოთა ხალხს ეს მიაჩნიათ თავიანთ მაღალ ინტერნაციონალურ მოვალეობად.

დასასრულ გ. ა. ალიევმა გამოთქვა რწმენა, რომ სოლიდარობის მეოთხე საბჭოთა კონფერენცია ხელს შეუწყობს აზიისა და აფრიკის პროგრესულ დემოკრატიულ ორგანიზაციებთან ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრიობის ინტერნაციონალური კავშირურთიერთობის კიდევ უფრო განვითარებას, მსოფლიო ანტიიმპერიალისტური ფრონტის ერთიანობისა და შეკავშირების განმტკიცებას.

დელეგატებს მიესალმნენ აზია-აფრიკის ქვეყნების ხალხთა სოლიდარობის ორგანიზაციის გენერალური მდივანი იუსე- ეს-სიბაი, „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემიის ლაურეატი, მშვიდობის მსოფლიო საბჭოს პრეზიდიუმის წევრი ალფრედო ვარელა (არგენტინა), ვიეტნამის გაერთიანებული დელეგაციის მეთაური ლეზუი ვანი, მალაის დელეგაციის მეთაური (ანგოლა) ჯულიო გერა და სხვები.

1920 წლის სეპტემბერში ბაკოში გამართული ალმოსავლეთის ხალხთა პირველი ყრილობის შესახებ დამსწრეთ მოგონებანი გაუზიარა ამ ყრილობის მონაწილემ, სოციალისტური შრომის გმირმა, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ვ. ს. ემელიანოვმა.

კონფერენციის მონაწილეებმა ყვავილებითა და გვირგვინებით შეიმკეს ვ. ი. ლენინის ძეგლი და აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ბრძოლაში დაღუპული 26 ბაქოელი კომისრის მემორიალი.

კონფერენცია განაგრძობს მუშაობას.

მსოფლიოს ამბები

ეროვნული გიბლიოთეკა

13 მაისი

ფაქტები მოვლენები პროგლემები

საკდესი და უცხოეთის პრესის სააგენტოები იტყობინებიან.

საკდესი გვაცნობებს

ტელეტაიპის ლენტიდან

სოფია

● **ბულგარეთის** სახალხო რესპუბლიკა ერთ-ერთია მსოფლიოს ამ 20 ქვეყანას შორის, რომელიც ერთსულ მოსახლეზე ყველაზე მეტ ელექტროენერგიას ხარჯავს. გასულ ხუთწლედში ქვეყანაში დაიხარჯა 113 მილიარდი კილოვატსაათი. ამ პერიოდში მწყობრში ჩადგა სამი მილიონი კილოვატი საერთო სიმძლავრის ახალი ელექტროსადგურები.

ბულგარეთში მომავალ ხუთწლედის ბოლოსათვის, ესე იგი 1980 წლისათვის, ელექტროსადგურების სიმძლავრე მიაღწევს 10 მილიონ კილოვატს, წლიურად კი დაიხარჯება 46 მილიარდი კილოვატ-საათი ელექტროენერგია.

ლონდონი

● **საშინაო** პოლიტიკის ძირითად საკითხებზე ლიბერალებს შორის არსებული დიდი უთანხმოებანი კვლავ დადასტურდა დიდ ბრიტანეთის „ლიბერალურ-ეროვნული აღმასრულებელ კომიტეტის სხდომაზე. ამ განიხილეს პარტიის ახალი პროგრამის პროექტი, რომელიც შეიმუშავა აღმასრულებელი კომიტეტის ერთ-ერთმა კომიტეტმა მემარცხენე ლიბერალისტის ანტონი ვეჯვუდ ბენის ხელმძღვანელობით.

ბრიუსელი

● **კვიპროსის** საკითხზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეზოლუციის შესრულებისათვის საერთაშორისო კონფერენცია გამართება გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში 29-31 ოქტომბერს. ეს ნათქვამია კვიპროსთან სოლიდარობის საერთაშორისო კომიტეტის განცხადებაში.

ადის-აბება

● **აფრიკის** ქვეყნების ერთობის ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა უილიამ ეტეკი-მბუმუამ ამ ორგანიზაციის წევრ-ხახელმწიფოთა მეთაურებს გაუგზავნა წერილი, რომელშიც მოუწოდებს ფართოდ აღნიშნონ აფრიკის კვირეული. აფრიკის ქვეყნების ერთობის ორგანიზაციის გადაწყვეტილებით იგი 19-25 მაისს მრეწყობა ლოზუნგით, რომელიც მრუწოდებს დაეხმარონ გამთავისუფლებელ მოძრაობებს: კონტინენტზე რასიზმისა და კოლონიალიზმის სრული ლიკვიდაციისათვის ბრძოლაში.

ვიეტნამი

სოციალიზმის გზით

სუან თხიუის გამოსვლა პრეს-კონფერენციაზე ჰანოიში

ჰანოი, (საკდესი), აქ გაიმართა პრეს-კონფერენცია, რომელზეც გამოვიდა ვიეტნამის სამამულო ფრონტის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი. ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული კრების მუდმივი კომიტეტის საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარე სუან თხიუი.

თავის გაცოცხლებულ სუან თხიუიმ, კერძოდ, თქვა: „ახლად არჩეული ეროვნული კრება გადაჭრის სამხრეთ ვიეტნამის ეკონომიურ და პოლიტიკურ საკითხებს, განსაზღვრავს მის საშინაო და საგარეო პოლიტიკას, შექმნის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს, დაადასტურებს ვიეტნამელი ხალხის ნებასა და მისწრაფებას აშენოს მშვიდობიანი, დამოუკიდებელი ერთიანი სოციალისტური ვიეტნამი“.

ის ფაქტი, რომ ამომრჩეველთა 98 პროცენტზე მეტმა მიიღო მონაწილეობა არჩევნებში, ხაზი გასვა მან, მოწმობს, რომ სამხრეთის, ისევე როგორც ჩრდილოეთის მოსახლეობა მზად არის შეინარჩუნოს მშვიდობა და აიაროს სოციალიზმის გზით. ამ ტენდენციის ადასტურებს აგრეთვე ბმების აბსოლუტური უმრავლესობა, რომელიც არჩევნებში ძალიან კომუნისტებმა და ამერიკის შეერთებული შტატების წინააღმდეგ ეროვნული ხსნისათვის ომის მონაწილეებმა.

შეეხო რა ვიეტნამის გაერთიანებას ეკონომიური თვალსაზრისით, სუან თხიუიმ დამსწრეთ მოაგონა, რომ ჩრდილოეთის ეკონომიკა თავისი ხასიათით განსხვავდება სამხრეთის ეკონომიკისაგან, ამიტომ ისინი შეავსებენ ერთმანეთს. ქვეყნის სამხრეთში ესესაა დაიწყო სოციალიზმის მშენებლობის ეტაპი, მან ჯერ კიდევ უნდა გადაწყვიტოს ეროვნული სახალხო-დემოკრატიული რევოლუციის ამოცანები. ქვეყნის ჩრდილოეთი მოავალი წელია აშენებს სოციალიზმს, ქვს დიდი გამოცდილება სოციალისტურ მშენებლობაში, რომელიც სასარგებლოა სამხრეთისათვის.

შეეხო რა ვიეტნამის საგარეო-პოლიტიკურ კურსს, სუან თხიუიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მისი საგარეო პოლიტიკის საფუძველია მშვიდობა და ეგოგბრობა ყველა ქვეყანასთან, მოძმე სოციალისტურ ქვეყნებთან, ლაოსთან და კამბოჯასთან, ალენტის პროგრესულ ძალებთან.

სოლიდარობის განმტკიცება მშვიდობის, დამოუკიდებლობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის საკეთილდღეოდ, იმპერიალიზმისა და კოლონიალიზმის წინააღმდეგ ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის მხარდაჭერა.

შეხვედრები ლონდონში

ლონდონი. (საკდესი): დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ჯ. კალაგენმა მიიღო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. ა. კირილინი, რომელიც მეთაურობს საბჭოთა კავშირ-ინგლისის მეცნიერულ-ტექნიკური და სავაჭრო-ეკონომიური თანამშრომლობის მუდმივი კომისიის სესიაზე ჩამოსულ საბჭოთა დელეგაციას.

ჯ. კალაგენმა გამოთქვა, რომ დიდი ბრიტანეთის მთავრობა აპირებს კვლავაც განაგრძოს საბჭოთა კავშირთან პოლიტიკური, ეკონომიური და სხვა თანამშრომლობის ყოველმხრივი განვითარების ხაზი.

ვ. ა. კირილინი დღეს შეხვდა ავრეთვე დიდი ბრიტანეთის გაჭრობის მინისტრს ე. დულს, ენერგეტიკის მინისტრს ა. ვ. ბენსა და მრეწველობის სახელმწიფო მინისტრს ჯ. კაუფმენს.

იტალიელ კომუნისტთა კანდიდატები

რომი, (საკდესი). იტალიის კომუნისტური პარტიის რომის ფედერაციამ აქ გამართა პრეს-კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა რომსა და დედაქალაქის პროვინციაში ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მომავალ არჩევნებს.

ეს არჩევნები გაიმართება 20 და 21 ივნისისათვის დანიშნულ პარლამენტის ვადამდელ არჩევნებთან ერთდროულად.

იტალიის კომპარტიის კანდიდატთა სიები შეადგინეს მრავალ კრებაზე, რომლებიც ამ დღეებში გაიმართა ქალაქისა და მისი პროვინციის პარტიულ ორგანიზაციებში. კომუნისტთა კანდიდატები არიან რომის საწარმოთა მუშები, მოსამსახურეები, მასწავლებლები და კულტურის თვალსაჩინო მოღვაწეები.

იტალიის კომპარტიის რომის ფედერაციის მდივანმა ლ. პეტროზელიმ, რომელიც პრეს-კონფერენციაზე გამოვიდა, ხაზი გაუსვა, რომ დედაქალაქის კომუნისტები განზრახული აქვთ შეუპოვრად იბრძოლონ ამ ძალების წინააღმდეგ, რომლებმაც, მართალია, ერა მრავალი წლის მანძილზე ქალაქს, მწვავე კრიზისამდე მიიყვანეს მისი მეურნეობა. მან აღნიშნა, რომ იტალიის კომპარტიის გარეშე უკვე აღარ შეიძლება არა მარტო რომის, არამედ აგრეთვე მთელი ქვეყნის მართვა.

ფოტოინფორმაცია



„ქიგული“ კუბის გზებზე

დიდი მოწონება აქვს კუბის რესპუბლიკაში „ქიგულის“ მარკის საბჭოთა ავტომანქანებს. ტოლიატის ქარხნის კონვეიერიდან ჩამოსულმა ამ კომფორტულმა ეკონომიურმა და ექსპლოატაციაში სიმედო მანქანამ ჩინებული სასვლო თვისებები გამოუვლინა ტროპიკული კუნძულის გზებზე.

სურათზე: მალე ეს „ქიგულები“ კუბის დედაქალაქ ჰავანის ქუჩებში ისრიალებენ.

საკდესის ფოტო.

კულტურის ქრონიკა

აღფრთოვანებული გამოხმაურება

საქართველოს სიმღერისა და ცეკვის ახალგაზრდული ანსამბლის წარმატება

ვალეტა, (საკდესი), მალტის მუსიკალური ხელოვნებისა აღფრთოვანებით გამოეხმაურა საქართველოს სიმღერისა და ცეკვის ახალგაზრდული ანსამბლის გასვლებს აქ მიმდინარე ტრადიციულ საგაზაფხულო კარნავალზე.

„ქართული ჯგუფის გამოსვლა უეჭველად ამოძრავებდა იყო,— ამბობს ცნობილი თეატრალური და მუსიკალური კრიტიკოსი პოლ ვეერები. — ახალგაზრდა მოცეკვავეები დახვეწილი ოსტატები არიან. ძხელია გამოარჩიო ვინმე შემსრულებელთა შორის, რადგან თვითეული მათგანი ვირტუოზია“.

ძოეკვეკვეთა წარმატებას, აღნიშნავენ ამ. დიდად შეუწყო ხელი აკომპანიატორების „ბოთა ბიბლიერისა და ჯეკალ წამალაშვილის ხიბებულმა ხელოვნებამ.

„ინდივიდუალური და კოლექტიური მუსიკოსების ეს თავისებური ჰარმონია, უდავოდ, მოცეკვავეთა კოლექტივის ხელმძღვანელის ამირან სალუკვაშვილის დამსახურებაა“, — თქვა ადგილობრივი ტელევიზიისა და რადიოს კომენტატორმა ჩარლზ არიგომ.

ადგილობრივი კრიტიკოსები აღფრთოვანებულნი არიან გუნდის ხელმძღვანელის დირიჟორ ბალვა მოსიძის ოსტატობითაც. „მისი წყალობით, — წერს გაზეთი „სანდი ტაიმს ოფ მალტა“, — ქალაშვილების ხმები „მწყობრად და ლამაზად ჟღერს“. მალტელმა მუსიკის მოყვარულებმა განსაკუთრებით აღნიშნეს გუნდის სოლისტის ნატალია კუზნეცოვის „ლამაზი და გამჭვირვალე სოპრანო“.

კვლავ მიწისძვრა

**რომი, (საკდესი). 11 მაისს ორმა ძლიერმა მიწისძვრამ ბიძგმა შეარყია იტალიის ჩრდილო-აღმოსავლეთი რაიონები. ხეისმურმა სადგურებმა ერთი მათგანის ხმაძლავრე განსაზღვრეს 5,4 ბალთა რიხტერის სკალის მიხედვით, მიწისძვრის შედეგად ფრიული-ვენეციანჯულიის ოლქის მთელ რიგ დასახლებულ პუნქტებში დაინგრა საცხოვრებელი შენობები, შეწყდა ელექტროენერგიის მიწოდება, ხოლო მთიან ზონებში ჩამოწვა მეწყერები, რომლებმაც თითქმის მთლიანად გადაკეტეს მოძრაობა გზებზე. არის მსხვერპლი. უკანასკნელ ექვს დღეში, როცა იტალიაში რეგისტრირებული იყო სხვადასხვა ძალის 50-ზე მეტი მიწისძვრა ბიძგი, დაღუპულთა რიცხვი ათას კაცს უახლოვდება, დაშავებულია რამდენიმე ათასი, 200 ათასამდე უსახლკაროდ დარჩა.

პრესას არ მიაჩნია ეს ციფრები საბოლოოდ, რამდენადაც სეისმოლოგები არ გამორიცხავენ ახალი მიწისძვრაშა ბიძგების შესაძლებლობას. გარდა ამისა, მიწისძვრისგან დაზარალებულ რაიონებში ჭარის ნაწილების, პოლიციის, მოხალისეთა რაზმების ძალები ჯერ კიდევ განაგრძობენ ხაშველ სამუშაოებს.

ეს საინტერესოა

ძიება დუმილის სამყაროში

უკვე რამდენიმე ათეული წელია, რაც ცნობილი ფრანგი მკვლევარი ჟაკ-ივ კუსტო სწავლობს ოკეანეებსა და მათს ბინადართ. თავისი ფილმებითა და წიგნებით, როგორიც არის „დუმილის სამყაროში“, „ცოცხალი ზღვა“, „ზღვაში საიდუმლოება რომ არ იყოს“, მან „ცისფერი კონტინენტი“ ათეული მილიონობით ადამიანს გააცნო.

კუსტოს ექსპედიციების წარმატება შეუძლებელი იყო თანამედროვე ტექნიკის — აკვალანგების, მინიატიურული წყალქვეშა ნავების, „ვერტმფრინავების, „საყვირთავი თეფშების“ და, რასაკვირველია, საბაზო ხომალდ „კალიპსოს“ გარეშე.

ამას წინათ კუსტომ თავისი ჯგუფის არსენალი შეავსო კიდევ ერთი საინტერესო მანქანით, რომელსაც ეურნალისტებმა მაშინვე „მფრინავი კალიპსო“ შეარქვეს.

„მე დიდხანს ვოცნებობდი პიდროთვითმფრინავზე — მფრინავ ხომალდზე“, — თქვა კუსტოს ფილმმა ფილიპმა, რომელიც მამას ყველა ექსპედიციაში დაჰყვება და მის თანაშემწედ ითვლება. „მე შევიმუშავე გეგმა, რომლის თანახმადაც ორი ჰიდროთვითმფრინავიდან ჩვენი პლანტის სხვადასხვა რაიონში გადავიტანდით სატელევიზიო ფილმების ხერიებს“. ამ გეგმას მხარი დაუჭირა უფროსმა კუსტომ, რომელიც ომამდე საზღვაო ავიაციაში მეთვალყურედ მსახურობდა.

ამგვარად ერთი ჰიდროთვითმფრინავი კუსტოს უკვე აქვს. ეს არის ოთხ წლებში სახელგანთქმული მფრინავი ნავი-ამფიბია „კატალინა“, სანამ ამ მანქანას კერძო მფლობელებისაგან შეიძენდა, კუსტოს ამერიკის შეერთებული შტატების ბევრ რაიონში მოუხდა წასვლა. ზოგიერთი მანქანები უკვე აღარ ვარგოდა. სხვები, როგორც კი გაიგებდნენ, რომ „ცნობილ კუსტოსთან“ აქვთ საქმე, ფასს აუწევდნენ. საბოლოოდ შესაფერისი ეზომპლარი იპოვნეს ფლორიდაში.

„თუმცა ერთი რამ საკვირველია, — ამბობს ფილიპი, — ამ რაიონში ძნელია ჰიდროთვითმფრინავის წარსული საქმიანობის გარკვევა“. საქმე ის არის, რომ ასეთი თვითმფრინავებით, რომლებსაც წყალზეც და ხმელეთზეც შეუძლიათ დაჯდომა, კონტრაბანდისტებს სამხრეთ ამერიკიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში გადაჰქონდათ ნარკოტიკები და ძვირფასეულობა. „მფრინავი კალიპსოს“ ძველ ეურნალში ხშირად იყო ჩანაწერები, რომლებიც ცენტრალური ამერიკის ქვეყნებში გაფრენებს ეხებოდა.

მანქანის ახალმა მფლობელებმა მთლიანად მოხსნეს თვითმფრინავიდან შეიარაღება. მფრინავი ნავის კაიუტებში მოთავსეს სამეცნიერო და კინოფოტოლაბორატორიები, საძინებელი ოთახები, სამზარეულო.

„მფრინავი კალიპსოთი“ პირველი ექსპედიცია მოეწყო ოუკატანის ნახევარკუნძულის ნაპირებისაკენ. შემდეგ კუსტოს ჯგუფი გადაფრინდა ნიკარაგუას ტბაზე, აქედან მექსიკის წყნარი ოკეანის ნაპირებზე გადაინაცვლეს. ამ ექსპედიციის დროს კუსტოს ჯგუფმა საინტერესო და იშვიათი კადრები გადაიღო.

* * *

სურათებზე: ზემოთ — ფრანგი მკვლევარი ჟაკ-ივ კუსტო; ქვემოთ — „მფრინავი კალიპსო“.

* * *

ფოტო ამოღებულია ეურნალ „პარი-მატჩიდან“.

(საფრანგეთი).

კორტუგალია

მზადება არჩევნებისათვის

ლისაბონი, (საკდესი). პორტუგალიის კომპარტიას ჯერ კიდევ არ მიუღია საბოლოო გადაწყვეტილება რესპუბლიკის პრეზიდენტის პოსტზე კანდიდატურების მხარდაჭერის შესახებ, განუცხადა ეურნალისტებს პორტუგალიის კომპარტიის ცენტრალურმა მდივანმა ალვარო კუნიალმა პრეზიდენტ ფ. და კოშტა გომეშთან საუბრის შემდეგ.

მან აღნიშნა, რომ ახლანდელ პოლიტიკურ სიტუაციაში არის ეკვი ასპექტი, რომლებიც გულდასმით ნანალიზს მოითხოვენ. არებობს ისეთი კანდიდატურები დასახელების საფრთხე, თქვა მან, რომლებიც ვითარების სტაბილურობის დარღვევას გამოიწვევდნენ.

ბოლოს ერი გადაწყვეტა იქნებოდა

ბიბლიოგრაფია

ქრიზისის დასაძლევად

ბეირუთი. (საკდესი). ამ ბოლო დროებში ლიბანის დედაქალაქში გადაწყვეტილივ მიმდინარეობს კონსულტაციები და კონსულტაციები ამ მიზნით, რომ შეიმუშაონ ერთ-ერთ შინაპოლიტიკური კრიზისის დაძლევისა და ვითარების ნორმალიზაციის კონკრეტული ინიციატივები. ერთ-ერთი ძირითადი საკითხი, რომელსაც ამ შეხვედრებზე ახლავენ, — ეს არის სარქისის მიერ პრეზიდენტის ტატის დაკავების ვადები. ამისთვის საჭიროა, რომ გადადგეს ამ წინამორბედი ს. ფრანჯიე. პრემიერ-მინისტრმა რ. კარამ და ლიბანის მუფთამ შეიხმა ბანის პოლიტიკური პარტიების ხელმძღვანელობას მოეწოდებს მხარი დაუჭირონ ე. სარისს, რომელიც ამ დღეებში აირჩიეს ლიბანის სახელმწიფოს ახალ მეთაურად.

ამ გამოქვეყნებულ განცხადებაში ქვეყანაში პოლიტიკური მოსარიგების პირობების შესახებ ეროვნული პატრიოტული ძალების წარმომადგენლებმა კვლავ ხაზი გაუსვეს, რომ საჭიროა დაუყოვნებლივ განიხილონ პოლიტიკური სოციალურ-ეკონომიური რეფორმების მათ მიერ შეთავაზებული პროგრამა.

ამასობაში როგორც თვით ბეიუთში, ისე ქვეყნის სხვა რაიონებში ხანმოკლე სიმშვიდის ფონზე ანახლდა შეიარაღებული შეტაკებები.

კამპანია ბუნდესტაგში

განიხილავენ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის 1976 წლის ბიუჯეტის პროექტს

ბონი, (საკდესი). გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ბუნდესტაგში მიმდინარეობს ქვეყნის 1976 წლის ბიუჯეტის პროექტის საბოლოო განხილვა, რომელიც გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის — თავისუფალი დემოკრატიული პარტიის მთავრობამ წარმოადგინა. თავდაპირველად ყამათმა მიიღო მთავრობასა და ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის — ქრისტიანულ-სოციალური კავშირის ოპოზიციას შორის მწვავე ბრძოლის ხასიათი, რასაც ბევრად განსაზღვრას ოქტომბერში პარლამენტის მომავალი არჩევნებისათვის მზადება.

ოპოზიციის წარმომადგენლები თავს დაესხნენ მთავრობას აღმოსავლურ პოლიტიკას, რომელიც მიზნად ისახავს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და ევროპის სოციალისტური სახელმწიფოების ურთიერთობის გაუმჯობესებასა და განვითარებას.

კამაში გამოსულისას გერმანიის ფედერაციული

საქართველოს ფეხ-ბურთი

გაერთიანებული სამეცნიერო კონფერენცია

აბასთუმანი მუშაობს ორი ობსერვატორიის — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიისა და სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბიურაკანის ასტროფიზიკური ობსერვატორიის მეცნიერთა გაერთიანებული სამეცნიერო კონფერენცია. კონფერენციის მუშაობას ხელმძღვანელობენ სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი ვ. ა. ამბარცუმიანი — ბიურაკანის ობსერვატორიის დირექტორი და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ე. კ. ხარაძე — აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის დირექტორი. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი ი. ნ. ვეკუა.

კონფერენციის განხილვის საგანია უკანასკნელი წლის სამუშაოთა შედეგები, მეათე ხუთწლედის გეგმების შესაბამისად კვლევის კოორდინაცია და მომზე რესპუბლიკების აკადემიათა ორი ობსერვატორიის შემოქმედებითი თანამშრომლობის შემდგომი განვითარების გზები.

ვ. ჯაფიაშვილი,
აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო მუშაობის დარგში.
(საქინფორმი).

ახალი ქვესადგური

ოქტომბრის ორდენოსანმა ამირკავკასიის რკინიგზის ხაშურის სალიანდაგო დისტანციის ელექტრონაგების განყოფილებამ კარგი საჩუქარი მიიღო — ზესტაფონის რაიონის სოფელ წევაში გაიხსნა ქვესადგური. იგი ორლინიანდაგიანი სამიმოსვლო ხაზისათვის არის გამთვალსწინებული და გზის ყველაზე რთულ უბანს, სურამის უღელტეხილს დამატებითი ელექტროენერგიით გამოკვებავს.

თანამედროვე ტიპის ქვესადგური როსტოველმა სპეციალისტებმა დააპროექტეს და აგაგეს.

ქვესადგურის ეზოში, სხვა ნაგებობებთან ერთად, საელექტროფიცირებო გადაეცა კეთილმოწყობილი საცხოვრებელი სახლი, სასტუმრო და სხვა საშეურნეო ნაგებობები. ქვესადგური მთლიანად აღგილობრივი კადრით დაკომპლექტდა.

ს. ნიშნიანიძე.

„საუნჯე" № 2

გამოვიდა მსოფლიო ლიტერატურის ორთვეული ალმანახის „საუნჯის" წლევანდელი მეორე (მარტი, აპრილი) ნომერი.

ნომერი იხსნება სარედაქციო წერილით, როძლის სათაურია „ახალი მწერალ-ებისაკენ". მასში ლაპარაკია საბჭოთა ლიტერატურისადმი ჩვენი პარტიის დიდ ზრუნვაზე და მწერლობის იმ ახალ ამოცანებზე, რომლებიც XXV ყრილობის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარეობს.

პროზის განყოფილებაში დაბეჭდილია:

უ. ფოლკნერი — ცეცხლისწამკიდებელი. მოთხრობა, ინგლისურიდან თარგმნა ა. რატიანმა; **ვ. ასტაფიევი** — ჩრდილოეთის შორეულ მწვერვალზე. მოთხრობა, რუსულიდან თარგმნა გ. ხორხალულმა; **კ. მენსფილდი** — მოთხრობები. ქარი ქრის (ინგლისურიდან თარგმნა მ. ამისულ-ავალმა), ექვსსპენსიანი (ინგლისურიდან თარგმნეს ე. გეგელაძემ და ლ. ბოფელაძემ) **ალიედხან ალუ-ბაქარი** — თოვლის ადამიანები. რომანი — თარგმნა ც. ჩხეიძემ; **ი. ანდრიჩი** — ხიდი ჟეკაზე, მოთხრობა — თარგმნა თ. ფიფიანმ, **მ. დრიუონი** — რკინის მეფე, ისტორიული რომანი. ფრაგმენტებიდან თარგმნეს ი. კოპლატაძემ და ძ. ბაქრაძემ.

პოეზიის განყოფილებაში გამოქვეყნებულია:

ძველთაფიცობის ათინათები. ვ. მაიაკოვსკის, ს. ესენინის, ნ. ტიხონოვის, ბ. პასტერნაკის, მ. დუდინის, ნ. ზაბოლოცკის, ა. მეეიროვის, მ. ლუკონინის, ე. ეეტუშენკოს, ბ. ახმადულინის ლექსები ხალხთა მეგობრობაზე, საქართველოზე, თარგმნა გ. ძარკველაშვილმა.

რ. ბერნსი — ორი ძველი პოემა. ინგლისურიდან თარგმნა თ. ერისთავმა.

ლიტერატურის მემკვიდრეობის, კრიტიკისა და პუბლიცისტიკის განყოფილებებში მკითხველი გაეცნობა შემდეგ ნაწარმოებებს:

ბ. პასკალი — აზრები. ფრანგულიდან თარგმნა ბ. ბრეგვაძემ; **საუკუნოვანი კამათის ერთი ასპექტი. „ამბავი იგორის ლაშქრობისა"** და **„ზადონშინა"**. ძველრუსულიდან თარგმნა თ. ბუაჩიძემ, **ნ. კაკაბაძე** — თომას მანის მოთხრობების პირველი გამოცემის გამო; **ტ. ციავლოსკაია** — მარია ვოლკონსკაია და პუშკინი, რუსულიდან თარგმნა გ. ბაქრაძემ.

ალმანახის ეს ნომერი მხატვრულად ლამაზად არის გაფორმებული.

ქართველ სპეციალისტთა პროექტებით

საქართველოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტში მთავარი სპეციალისტის ვ. ლეფავას ხელმძღვანელობით შეუდგენენ სოჩის ახალი სამგზავრო სადგურის გზის ტექნიკური პროექტის შემუშავებას, 1250 მეტრი სიგრძის ტრასა პანსიონატ „ნევას" დაკავშირებს ბლაუთან. სათში ერთი მიმართულებით მას შეუძლია 400 კაცი გადაიყვანოს. ერთი სადგურიდან მეორემდე მისასვლელად სულ სამ წუთნახევარია საჭირო.

ჩვენი პროექტით სოჭში კიდევ ერთი გზა შენდება, — თქვა ვ. ლეფავამ. — ახლა მიმდინარეობს მოწყობილობის დამონტაჟება. იგი საკურორტო პროსპექტს დაკავშირებს პარკთან და დენდარიუმთან. ტრასის სიგრძეა ერთი კილომეტრი. სადგური გზა საუქასლოატაციოდ წლეულს გადაეცემა.

ქართველ სპეციალისტთა პროექტებით სამგზავრო სადგურები აშენებულია კისლოვოდსკში, პიატიგორსკში, ერევანში, ალმა-ათასა და სხვა ქალაქებში. ამჟამად ასეთი ტრასები შენდება ორჯონიკიძეში, დუშანბეში.

(საქინფორმი).

მოგეწონებათ...

ბათუმი. (საკ. კორ.). ქალაქის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველომ გითვალისწინა ბათუმელ მშრომელთა მოთხოვნილება და საავეჯო ფაბრიკა აამენა.

ახალ ფაბრიკაში დამონტაჟდა მექანიზებული დაზგები, იგი აღჭურვილია თანამედროვე დანადგარებით. პროდუქციის ასორტიმენტი მრავალფეროვანი და მომხიდველია.

... ოთხლისა და ყინულის სამყაროში





სახალინის ოლქი. ყოველ წელს გაზაფხულზე ნეველსკის მეთევზეთა ნავსადგურის ქვაფენილზე მზეზე გასათბობად მოდიან ზღვის ლომები.

გემებს, რომლებიც ნავსადგურში შედიან, აკრძალული აქვთ გამმული სიგნალების მიცემა. **სურათზე:** ზემოთ — ზღვის ლომები ნეველსკში.

ჩვეულებრივზე სამი თვით ადრე გაიხსნა არქტიკული ნავიგაცია. ატომმავალმა „ლენინმა" და ატომმავალმა „პაველ პონომარიოვმა" წარმატებით გაიარეს ყინულოვანი გზა მურმანსკიდან იამალის ნახევარკუნძულამდე. **სურათზე:** დიზელ-ელექტრომავალი „პაველ პონომარიოვი" იამალის ნახევარკუნძულთან.

ჩინეთს ოლქი. თითქმის შვიდას ირემს უვლის კოლმეურნეობა „ზარიას" ბრიგადა, რომელსაც ხელმძღვანელობს მიხეილ ნიკოლოზის-ძე გაბიშევი. ბრიგადამ სოციალისტურ შეჯიბრებაში საუკეთესო წარმატებებს მიაღწია და მას სკკპ XXV ყრილობის სახელობის ბრიგადის სპეციალური წოდება მიენიჭა.

ფ. გალუშკინი, ს. გეშსკენი, ს. მაისტრენკოისა და ბ. კალაჩიანის ფოტო (საკავშირო ფოტოქრონიკა).

ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲘᲡ ᲡᲘᲥᲐᲮᲚᲔ

ᲤᲕᲔᲗᲔᲒᲘᲡ ᲜᲐᲪᲕᲚᲐᲓ ... ᲤᲘᲠᲘ

ქიმიკოსებისა და ექიმების — ანატოლ დავიდოვის, გეხადი ხრომოვის, იური მაიჩუკის, ირინე ტიმონის მიერ გამოგონილი სამკურნალო ფირი საგრძნობლად ამსუბუქებს და აჩქარებს თვალის დაავადებათა მკურნალობას, რას ხარმოადგენს იგი?

ეს მომრგვალებულკუთხეებიანი პოლიმერული ფირფიტებია, რომლებიც სამკუთხალწამლო ნივთიერებებს შეიცავს. მისი სიგრძე დაახლოებით ექვსი-ცხრა მილიმეტრია, სიგანე — სამიდან ხუთ მილიმეტრამდე, ხოლო სისქე —0,2-0,6 მილიმეტრი, წონა კი 10-დან 30 მილიგრამამდე.

ფირს დებენ ქვედა ქუთუთოს უკან, სადაც იგი სველდება ცრემლით, 10-15 წამის შემდეგ კი ელასტური ხდება და თანდათან ქრება. ამ დროს მხედველობა სამაგილე ოდნავადაც არ ირღვევა. ფირი ეფექტურ მოქმედებას ახდენს 72 საათის განმავლობაში. მკურნალობის ვადა ცალრდება ორსამჯერ (5-12 დღე 15-30 დღის საცვლად,) რადგან ფირის სამკურნალწამლო შესაძლებლობათა გამოყენება (საცხისა და წვეთებისაგან განსხვავებით) ფაქტიურად მთლიანად ხდება ხოლმე. ფირები უფრო ხანგრძლივადაც ინახება— პოლიმერული საფუძველი პრეპარატს საიმედოდ იცავს დაუანგვისაგან.

ახალ მეთოდს კიდევ ერთი უპირატესობაც აქვს: თვითეული ფირის საშუალებით თვალში შეიძლება შევიყვანოთ სხვადასხვა სამკურნალწამალი ნივთიერებათა კომბინაციები, რაც ადრე ან იმის გამო არ ხერხდებოდა, რომ ზოგიერთი კომპონენტი წყალში იხსნება, ხოლო ზოგი — ცხიმში; ან იმის გამო, რომ წყლის ხსნარში სამკურნალწამლო ნივთიერებები ერთმანეთზე მოქმედებს. შეცდომა რომ თავიდან იქნას აცილებული, საწინააღმდეგო მოქმედების ნივთიერებათა შემცველ ფირებს სხვადასხვა ფერად ღებავენ.

მოსკოვის სამედიცინო ტექნიკის ინსტიტუტში, სადაც იშვა ფირების იდეა, შექმნილია მათი ორიგინალური შესაფუთავიც — პლასტმასის ბენალ-ლიზმატორები. საკმარისია პატარა ბერკეტს თითი დავაჭიროთ, რომ მივიღოთ ერთი ფირა, დანარჩენები კი დაუზიანებელი რჩება.

ახალი ამბების სააგენტო.

ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐ

ᲯᲔᲛᲞᲠᲘᲗ ᲘᲪᲜᲔᲗ

ლამის ორ საათზე გატეხეს ჩხოროწყუს რაიონის სოფელ კირცხის მაღაზია. მეორე ღამეს, დაახლოებით იმავე დროს, ძმარცველები შევიდნენ იმავე რაიონის სოფელ ნაფიჩხოვოს უბიერემაღში. მოიპარეს მაგნეტოფონები, რადიომიმღებები, საათები, ბეჭდები, ტანსაცმელი, აგრეთვე ყაიღეს 1500 მანეთი ნაღდი ფული.

შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების მუშაკთა უურადღება, რომლებიც გამოძიებას აწარმოებდნენ, მიიპყრო ვინმე თეთრიკო კვარაცხელიამ, რომელსაც ზუსტად ისეთივე ფასონისა და ნაბრის ჯემპრი ეცვა, როგორიც მოპართა.

გამოძიებამ გრძელდებოდა. ჩხრეკის დროს კვარაცხელიას ბინაში იატაკის ქვეშ ნაძარცვი საქონლის ნაწილი აღმოაჩინეს. მალე დაადასტურეს მძარცველთა ჯგუფის ხელმძღვანელი, ქუთაისელ ბინადარ საქონლის ნაპარაფლავი გივი ბარამია და ბანდის წევრები — ხელიგნობისათვის ნასამართლევი ჯუმბერ გოგუა და კოლმეურნეობის ავტომძღოლის ძმღოლი ეფერნაზ პაპავა.

აგრეთვე სოხუმში იმყოფა სიენინგას სახლში აღმოაჩინეს ცალკეული მოპარული ნივთები. ნაქონდალი და ჩამორთმეული ნივთების მთლიანმა ღირებულებამ 17.664 მანეთი შეადგინა.

მალე დამნაშავეთა ჯგუფი სასამართლოს წინაშე წარსდგება.

(საქინფორმი).

ᲐᲛᲘᲜᲓᲘ

გუშინ დასავლეთ საქართველოში უნალეკი ამინდი იყო. დაბლობ რაიონებში 13 საათზე 15-18, მთებში 13-18 გრადუსი სითბო იყო.

წვიმდა კახეთსა და აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთ მთიან რაიონში. დაბლობ რაიონებში 18-20, მთებში 14-18 გრადუსი სითბო აღინიშნა.

დღეს შავი ზღვისპირა რაიონებში ხანმოკლე წვიმა და ელჭექია მოსალოდნელი, დაბლობ რაიონებში 16-21, მთებში 13-18 გრადუსი სითბო იქნება.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიან რაიონებშიც მოსალოდნელია ხანმოკლე წვიმა და ელჭექი, სუფი ქარი, ტემპერატურა: დაბლობ რაიონებში 18-23, მთებში 14-19 გრადუსი სითბო.

თბილისში მოსალოდნელია ხანმოკლე წვიმა და ელჭექი, 22-24 გრადუსი სითბო.

ᲭᲐᲓᲠᲐᲙᲘᲡ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲭᲝᲜᲐᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲘ

როგორც უკვე ვიუწყებოდით, წლეულს ფიდე თბილისს ჰოლანდიის ერთ-ერთ ქალაქი ატარებს მსოფლიო პირველობის საზონთაშორისო ტურნირებს. ქალთა შორის თავდაპირველად განზრახული იყო მათი ჩატარება აგვისტოს მიწურულიდან, მაგრამ იმის გამო, რომ ჰოლანდიის საჭადრაკო ფედერაციამ დიდხანს ვერ შეარჩია ტურნირის ადგილი, გადაწყდა ასპარეზობები ერთდროულად, 26 ნოემბერს დაიწყოს.

ახლა ფიდეს სპეციალურმა კომისიამ შეჯიბრების მონაწილეები ორ ჯგუფად უნდა გაყოს ისე, რომ ასპარეზობის შემადგენლობა დაახლოებით თანაბარი გამოვიდეს, როგორც ეს გაკეთდა კიდეც ვეთა შორის.

საბჭოთა კავშირიდან ბრძოლაში ჩაებმებიან ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი ოსტატი ბელავეხეცი (მოსკოვი), საკავშირო ჩემპიონატის პრიზიორები ოსტატები ფომინა (ტალინი), ახმილოვსკაია (ლენინგრადი), საერთაშორისო ოსტატები ბელოვა (მოსკოვი) და ჩიბურდანიძე. მაია ჩიბურდანიძე ერთადა თბილისის [illegible] ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐᲖᲔ

მეექვსე ტურში კურიოზულად დამთავრდა ზაიჩიკ-სიხარულიძის პარტია. დასაწყისშივე სიხარულიძეს მძიმე ძეცდომა მოუვიდა, უფიგურად დარჩა და შეწყვეტა წიხაალმდეგობა. გაიმარჯვა ორივე ლიდერმა: ჩიქოვანმა — ცქიტიშვილთან, ხოლო უბილავამ — გრძელიშვილთან. ახლა ოსტატებს — ჩიქოვანსა და უბილავას 6 ქულა აქვთ და კვლავიხდებუთად ლიდერობენ. მესამე ადგილზე გადაინაცვლა ოსტატობის კანდიდატმა კაპახაძემ (4,5 ქულა), რომელმაც პირველი დამარცხება მიაყენა ოსტატ ჯანიევს. კალატოზიშვილმა წაიგო ვეფხვიშვილთან.

დანარჩენი პარტიები გადაიდო.

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

ᲘᲬᲧᲔᲑᲐ ᲛᲔᲣᲨᲕᲘᲓᲔ ᲢᲣᲠᲘ

დღეს იწყება ფეხბურთში საბჭოთა კავშირის პირველობის მორიგი მეშვიდე ტური. თბილისას „დინამო" უმასპინძლებს გათამაშებას ერთპირიანი ლიდერს ლვოვის „კარპატს". ხოლო მოსკოვში „ლოკომოტივის" ცენტრალურ სტადიონზე შეხვდებიან დედაქალაქის გუნდები „ლოკომოტივი" და „დინამო".

გუშინ თბილისში გ. დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის სტადიონზე გამართა თბილისს „დინამოსა" და ლვოვის „კარპატის" დუბლიორთა გუნდების მატჩი. ასპარეზობა დამთავრდა თბილისელთა გამარჯვებით ანგარიშით 2:1. მასპინძელთაგან ბურთები გაიტანეს ჭილაიამ და წერეთელმა.

დინამოელები ასეთი შემადგენლობით თამაშობდნენ: იმხაძე, გაგუშელი, კანთელაძე, მელიქია, ლომურაშვილი, ესებუა, გ. მაჩაიძე (ცალამენკო), კოპალეიშვილი, ჩელებაძე, ჭილაია, წერეთელი.

□

სსრ კავშირის თასზე

მოსკოვში „დინამოს" სტადიონზე გაიმართა საბჭოთა კავშირის თასის გათამაშების მერვედფინალური მატჩი მოსკოვის გუნდებს შორის. ერთმანეთს შეხვდნენ ცსკა და „ტორპედო". თამაში დამთავრდა არმიელთა გამარჯვებით ანგარიშით — 2:1. მერვედფინალში ჩასატარებელი მხოლოდ ერთი შეხვედრა დარჩა, რომელიც 27 მაისს გაიმართება ოდესაში, სადაც ადგილმპრივი „ჩერნომორეცი" მოსკოვის „დინამოს" უმასპინძლებს.

□

ᲤᲠᲔ ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ

გუშინ ქუთაისში „ტორპედო" „ა" კლასის პირველი ლიგის ჩემპიონატში მასპინძლობდა ტაშკენტის „პახტაკორს". თამაში ქუთაისელი ფეხბურთელების აშკარა ტერიტორიული უპირატესობით მიმდინარეობდა, მაგრამ ბურთის გატანა ვერ მოხერხდა. თამაში დამთავრდა ფრედ — 0:0.

ქუთაისის „ტორპედო" ასეთი შემადგენლობით თამაშობდა: გაბელია, კოსტავა (გაბიჩვაძე), ხუციკლავა, სულაქველიძე, ჯოხონელიძე, ქვირია, ფარულავა, ოქროპირაშვილი (ჩახუნაშვილი), ბურკაძე, შენგელია, შელია.

ᲛᲝᲙᲚᲔᲓ

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

ᲛᲔᲣᲨᲕᲘᲓᲔ ᲢᲣᲠᲘ

ᲒᲕᲘᲜᲓᲐ ᲩᲕᲔᲜᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐᲖᲔ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲪᲡᲙᲐ — ᲚᲕᲝᲕᲘᲡ „ᲙᲐᲠᲞᲐᲢᲘ" 2:1

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ „ᲓᲘᲜᲐᲛᲝ" — ᲢᲐᲨᲙᲔᲜᲢᲘᲡ „ᲞᲐᲮᲢᲐᲙᲝᲠᲘ" 2:1

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ „ᲢᲝᲠᲞᲔᲓᲝ" — ᲞᲐᲮᲢᲐᲙᲝᲠᲘ 0:0

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ „ᲓᲘᲜᲐᲛᲝᲡ" ᲡᲢᲐᲓᲘᲝᲜᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲢᲐᲓᲘᲝᲜᲖᲔ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲓᲐ ᲢᲐᲨᲙᲔᲜᲢᲘᲡ „ᲞᲐᲮᲢᲐᲙᲝᲠᲘᲡ" ᲛᲝᲜᲐᲛᲔᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲛᲔᲠᲕᲔᲓᲤᲘᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲐᲢᲩᲘ. ᲛᲘᲡᲘ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲐᲠᲔᲒᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲐᲬᲧᲝᲑᲘ ᲓᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲐᲠᲔᲒᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲐᲬᲧᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲛᲔᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲛᲔᲠᲕᲔᲓᲤᲘᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲐᲢᲩᲘ. ᲛᲘᲡᲘ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲘ